

სამკვიდროს მიღება და მემკვიდრეთა ინტერესების დაცვის მექანიზმები

ლანა აბულაძე



*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*იურიდიულ ფაკულტეტზე კერძო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

*სამაგისტრო ნაშრომის
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე შენგელია*

თბილისი 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლანა აბულაძე

სარჩევი

აბრევიატურები..... iv

შესავალი.....1

 ნაშრომში განხილული საკითხი და მისი ფარგლები.....1

 ნაშრომში განხილული საკითხის აქტუალობა.....3

 ნაშრომის მიზანი.....4

 ნაშრომის სტრუქტურა.....4

სამკვიდროს მიღების იურიდიული ინტერესი.....5

 სამემკვიდრეო სამართალი საქართველოს წარსულში.....5

 სამკვიდროს ცნება და მნიშვნელობა.....8

 სამემკვიდრეო სამართლის ობიექტები.....9

 ქონება რომელიც გადადის მემკვიდრეობით.....10

 ქონება რომელიც არ გადადის მემკვიდრეობით.....10

 მემკვიდრეობით სამართლებრივი უფლებების სახეები.....11

 სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი მფლობელობით ან/ და მართვის გზით.....13

მემკვიდრეობის სუბიექტები და მათი ინტერესების დაცვის სამართლებრივი ანალიზი.....15

 ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისას.....15

 სავალადებულო წილის განსაზღვრისას.....19

მემკვიდრეობის კანონიერ ინტერესთა დაცვის სამართლებრივი ანალიზი.....21

 კანონით მემკვიდრეობისას.....21

 უპირატესი მემკვიდრეობის უფლების განხორციელებისას.....25

 ქორწინების ბათილობის დაუშვებლობა ორივე მეუღლის გარდაცვალებისას.....28

მემკვიდრეობით-სამართლებრივი ურთიერთობების შედარებით სამართლებრივი ანალიზი.....33

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა.....35

 საქმის გარემოებანი.....36

 უზენაესი სასამართლოს შეფასება.....37

დასკვნა.....37

გამოყენებული ლიტერატურა.....47

აბრევიატურები

ე.ი - ესე იგი

გსკ - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

თბ - თბილისი

იხ - იხილეთ

ჟურნ - ჟურნალი

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

RGB - Bürgerliches Gesetzbuch, code od civil laW

შესავალი

ნაშრომში განხილული საკითხი და მისი ფარგლები

სამოქალაქო საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფო ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში არაერთი პრობლემური საკითხის წინაშე დგას. არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებათა პატივისცემაზე დამყარებული სისტემის ჩამოყალიბებას. უფრო მეტიც, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა უნდა ემყარებოდეს ადამიანის უფლებების, როგორც უზენაესი სოციალური და სამართლებრივი ღირებულების აღიარებასა და დაცვას.¹

ადამიანის უფლებათა ერთ-ერთ კატეგორიას განეკუთვნება მემკვიდრეობა. მემკვიდრეობის უფლება, ეს არის საკუთრების შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი საშუალება და პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც, ემსახურება საკუთრების ინსტიტუტის დაცვას და მიზნად ისახავს, სახელმწიფოს ხელში კერძო საკუთრების მოქცევის შესაძლებლობის შემცირებას. „საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, მემკვიდრეობის უფლების ძირითადი ფუნქცია არის სამართალმემკვიდრეობით გზით საკუთრების უფლების შენარჩუნება მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ. ამ უფლების არარსებობის პირობებში ქონება ავტომატურად სახელმწიფოს ხელში გადავიდოდა, რაც თავის მხრივ დაასუსტებდა საკუთრების ინსტიტუტს.

ამ პირობებში კი თავად საკუთრების უფლების არსი დაიყვანება მხოლოდ ფაქტობრივ მფლობელობამდე, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ვადით შემოიფარგლება და მხოლოდ ფაქტობრივი და არასამართლებრივი დასასრული აქვს,² სამოქალაქო სამართლის იმ ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს გარდაცვლილის ქონებრივი და ასევე პირადი უფლებებისა და მოვალეობების გადასვლის რეგულირებას, წესს და პირობებს - მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება.³ იურიდიული ლიტერატურა მემკვიდრეობის დატოვების მიზმის განსამართლად ორ ძირითად მიდგომას ავითარებს, ალტრუიზმი (ბექერი 1974) და საპირისპირო გაცვლა (Bernheim et al. 1985) . ალტრუიზმის მოდელის მიხედვით, საკუთრებაში გადაცემა ხდება

კომპენსაციის ნებისმიერი ფორმის გარეშე. გაცვლითი მოდელი მიუთითებს იმაზე, რომ მონადერძეები თავიანთ ქონებას იყენებენ, როგორც მათი მემკვიდრეების დარწმუნების

¹ (ლობჟანიძე, 2008) . დ. ლობჟანიძე, *საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაცია, თბილისი 2008.*

² (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.75, 2012)*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.75;*

³ იხ. შ. ჩიკვაშვილი, *მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000, 6*

საშუალებას, იზრუნონ მათზე მომავალში.⁴ მიუხედავად განვითარებული აზრისა, მატერიალური მემკვიდრეობის დატოვების მოტივები უფრო რთული და მერყევია პირობითი შემონიშნულობისა (სტრატეგიული გაცვლის, ნაცვალგების) და უპირობო შემონიშნულობისგან (ალტრუიზმი) განსხვავებით, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორცაა აქტივების ხელმისაწვდომობა, ოჯახური ურთიერთობების ხარისხი და ა.შ. მამკვიდრებლის ქონების სხვა პირებზე გადასვლის წესი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ეთიკური, მორალური, რელიგიური, საოჯახო ასპექტებით.⁵ სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მემკვიდრეობის უფლების ფუნქციას წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ მესაკუთრის გარდაცვალებასთან ერთად არ მოხდეს კერძო საკუთრების, როგორც საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვის საფუძვლის დაკარგვა, არამედ ის შენარჩუნდეს სამართალმემკვიდრეობის გზით.⁶ ამასთანავე, მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ასპექტს. მემკვიდრეობა წარმოადგენს საკუთრების შექმნის ან მისი განკარგვის ერთ-ერთ ფორმას. საკუთრების შექმნის უფლების მსგავსად, მემკვიდრეობით მიღების უფლებაც საკუთრების წარმოშობამდე მიმდინარე პროცესებს არეგულირებს, შესაბამისად, ეს უფლებაც იცავს პირის შესაძლებლობას, გახდეს მესაკუთრე მემკვიდრეობის გზით.⁷

მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით, ნებისმიერ პირს მინიჭებული აქვს სამართლებრივი უფლება, საკუთრებაში ჰქონდეს შეუზღუდავი რაოდენობის და ღირებულების ესა თუ ის ქონება, რომელიც არ არის ამოღებული კანონიერი ბრუნვიდან. კანონი ითვალისწინებს საკუთრების წარმოშობის სხვადასხვა საფუძველს, რომელთაგან ერთ-ერთს, წარმოადგენს მემკვიდრეობა.⁸

სამემკვიდრეო სამართალი ხასიათდება თავისუფლების პრინციპით, პირის შეუზღუდავი უფლება განკარგოს თავისი ქონება. ეს უფლება სიკვდილის დროს ქონების განკარგვის კონტროლის უფლებაა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისთვის ხშირად ბუნდოვანია კანონის მრავალი ასპექტი, ერთი რამ სავსებით ცხადია, უფლება გამოხატოს ის ნება თუ ვინ მიიღებს ან არ მიიღებს თავის ქონებას სიკვდილის შემდეგ. რაც იმას ნიშნავს, რომ „პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომელიც მას აკავშირებდა სხვა პირებთან და თვით ქონებასთან, მაგრამ იურიდიულად ქონებრივი

⁴ Liliana Sousa, *The family inheritance process: motivations and patterns of interaction*, 2010.

⁵ ლალი ბაკრატიანი, *უფლებამონაცვლეობის საკითხები მემკვიდრეობის სამართალში*, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე სამართალი № 4, თბილისი 2015, 100.

⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვადანწყვეტილება, საქმე №2ბ/3251-12 28 იანვარი, 2013 წელი

⁷ იქვე

⁸ დალილა გოგოძე უარი სამკვიდროს მიღებაზე და მისი სამართლებრივი შედეგები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, 2013.

უფლებები არ წყდება,⁹ ეს უფლებები კი ემყარება როგორც მამკვიდრებლის, ისე მემკვიდრის კანონიერ ინტერესებს. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში შევეხები მონადერძისა და მემკვიდრის კანონიერ ინტერესთა დაცვის სამართლებრივ საკითხებს, განვიხილავ და შედარებით ანალიზს მოვახდენ სხვადასხვა ქვეყანასთან დამოკიდებულებაში. ბოლოს კი ერთმანეთისგან გავმიჯნავ სასამართლოსა და საზოგადოებაში გავრცელებულ პრაქტიკას.

ნაშრომში განხილული საკითხის აქტუალობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაშრომში განხილული საკითხი ქართული საზოგადოებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა იგი შეიცავს სხვა უამრავ მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც ასე თუ ისე უცნობია ქართული კანონმდებლობისთვის.

სამემკვიდრეო სამართალი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს. რომელიც ცალსახად აერთიანებს, როგორც ჩვეულებითი სამართლის პოზიტიურ ასპექტებს, ამავე დროს უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების პატივისცემას.

საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, უკანასკნელ დროში ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ხარისხობრივი შეცვლით.¹⁰ კონკურენტულ-საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას არ შეეძლო არ გამოეწვია მემკვიდრეობის მიღებისა და მისი ახალი კატეგორიების, მათ შორის, კანონით მემკვიდრეთა წრის, პრინციპულად ახალი იდეოლოგიის ფორმირება.¹¹ მოცემული თემის აქტუალობა განპირობებულია იმითაც, რომ მემკვიდრეობით მიღებული ქონების საკითხებს ცხოვრებაში აწყდება ყოველი მოქალაქე. ამასთან, მემკვიდრეობით-სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების ეფექტიანი და მარტივი რეალიზაციის შესაძლებლობა უშუალოდაა დაკავშირებული მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებთან, რომლებიც უნდა შეიცავდნენ ასეთი რეალიზაციის ზუსტ და მკაფიო დანაწესებს.¹²

ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომელსაც ემყარება თანამედროვე სამემკვიდრეო სამართალი, არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მისი მიღების შემდგომ იგი უამრავ ცვლილებას განიცდიდა და დღემდე პერიოდულად განიცდის, თუმცა მიუხედავად ამისა სასამართლო პრაქტიკასთან მიმართებით სამემკვიდრეო სამართალთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაცია არასრულყოფილია. თავად მემკვიდრეობის

⁹ შენგელია რ., შენგელია ე., *მემკვიდრეობის სამართალი*, თბილისი, 2011, 9.

¹⁰ კობრეიძე. ლ., *ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას*, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2014. 10.

¹¹ იქვე

¹² კობრეიძე. ლ., *ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას*, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2014. 10

კანონმდებლობა შეიძლება ითქვას, რომ კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს სამართლის სხვა დარგებსაც, რაც მემკვიდრეობით ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფის საფუძველია. ამ მხრივ აქტუალურია მემკვიდრეობის კანონიერი ინტერესები კანონით მემკვიდრეობისას, სავალდებულო წილის განსაზღვრისას, უპირატესი მემკვიდრეობის უფლების განხორციელებისას და ა.შ.

მემკვიდრეობა უპირველეს ყოვლისა, თავისი ვიწრო გაგებით გულისხმობს საკუთრების გადაცემას, თუმცა ეს არ არის მისი სრულყოფილი განმარტება. „უფლება-მოვალეობათა გადასვლას გარდაცვლილის მემკვიდრეებზე ეწოდება მემკვიდრეობა,“¹³ „ხოლო სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც რეგულირდება მემკვიდრეობითი ურთიერთობა, წარმოადგენს მემკვიდრეობის კანონმდებლობას.“¹⁴

ნაშრომის მიზანი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკისა და თეორიული მასალის ანალიზის ფონზე მემკვიდრეობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემატური საკითხების გამოვლენა და მათი გადაჭრის კონკრეტული გზების დასახვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ სამაგისტრო ნაშრომი ემსახურება სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული საკითხების უკეთ წარმოჩენას. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ისეთ საკითხებს, როგორც არის მემკვიდრეობისა და მონადერძის კანონიერი ინტერესები და მათი დაცვის სამართლებრივი ანალიზი. წინამდებარე საკითხებთან დაკავშირებით გამოკვლეული და განხილული იქნება სამართლებრივი ნორმები და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა. აგრეთვე ნაშრომში განხილული იქნება სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით პრობლემური ნორმები და შემოთავაზებული იქნება პრობლემის გადაჭრის გზები.

ნაშრომის სტრუქტურა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შედგება 7 თავისგან, რომელიც თავის მხრივ დაყოფილია ქვეთავებად.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია ყველა ის იურიდიული ინტერესი, რომელიც შეიძლება

გაჩნდეს სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით, როგორც მონადერძის, ასევე მემკვიდრის მიმართ. ამავე თავშივე განხილულია სამემკვიდრეო სამართლის

¹³ ჩიკვაშვილი შ., *მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2000, 6.*

¹⁴ *შენგელია, რომან, ეკატერინე შენგელია. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი: მერიდიანი, 2017.*

რეგულირების ისტორიული კონტექსტი,სამკვიდროს ცნება და მნიშვნელობა, განსახილველი საკითხის ობიექტი და სახეები, რომელზედაც დაწვრილებით შემდგომ ვისაუბრებთ.

მეორე თავს წარმოადგენს სამკვიდროს მიღების იურიდიული ინტერესი. წინამდებარე თავში განხილული იქნება ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგები, რომელიც მიიღწევა სამკვიდროს მიღებით. მოცემულ თავში ჩაშლილ საკითხებს, როგორც არის სამემკვიდრეო სამართალი საქართველოს წარსულში ,სამკვიდროს ცნება და მნიშვნელობა, მემკვიდრეობის სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, მემკვიდრეობის სამართლებრივი ურთიერთობის სახეები, სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი მფლობელობით ან/და მართვის გზით, ექნება მხოლოდ განმარტებითი ხასიათი, და მკითხველს შესაძლებლობას მისცემს გაეცნოს ზოგადად სამემკვიდრეო სამართლის არსს, მისი სუბიექტებისა და ობიექტების ურთიერთდამოკიდებულებას . ამავე თავში განხილული იქნება სამემკვიდრეო სამართლის ისტორია, სამემკვიდრეო სამართლის ძირითადი მიდგომები წარსულში და დღეს.

რაც შეეხება მესამე თავს , აღნიშნულ თავში ძირითადად საგულისხმოა მემკვიდრეობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები. აღნიშნულ ნაწილში განვიხილავთ როგორც კანონით მემკვიდრეობას, ასევე ანდერძით მემკვიდრეობას და ყურადღებას გავამახვილებთ პრობლემურ საკითხებზე . ამავე თავის პირველ ნაწილში ვისაუბრებთ ანდერძით მემკვიდრეობის მიმართ გამოსაყენებელ სამართალზე, ამავე დროს ყურადღებას გავამახვილებთ საზოგადოებაში გავრცელებულ პრაქტიკაზე. ნაშრომის განხილვას გავაგრძელებთ მემკვიდრეობის სუბიექტების ჩამოყალიბებით, ყურადღებას გავამახვილებთ მათ უფლება-მოვალეობებზე და ერთმანეთს დაუკავშირებთ ამ უკანასკნელთა დაცვის სამართლებრივ გარანტიებს. პირველ შემთხვევაში განვიხილავთ მონადერძის კანონიერ ინტერესთა დაცვის სამართლებრივ ფორმებს სამართლებრივ ნორმებთან მიმართებაში. კერძოდ განვიხილავთ ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისას და სავალდებულო წილის განსაზღვრისას. ხოლო, მემკვიდრეთა ინტერესებს განვიხილავთ სსკ-ის 1374-ე მუხლის , 1149-ე მუხლისა და 1480 მუხლის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1480-ე მუხლს განვიხილავთ ამავე კოდექსის 1483-ე მუხლთან კავშირში. „ კომპენსაციის განვადება იმ მემკვიდრეების მოთხოვნით, რომლებიც უპირატეს უფლებას ახორციელებენ, სასამართლოს უფლება აქვს გადაავადოს კომპენსაცია მისი მოცულობის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ათი წლის ვადით.

სამკვიდროს მიღების იურიდიული ინტერესი

სამემკვიდრეო სამართალი საქართველოს წარსულში

სამემკვიდრეო სამართალი სამართლის ერთ-ერთ უძველეს ინსტიტუტს წარმოადგენს. სამართლის წარმოშობისა და განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ კერძო საკუთრების უფლების აღმოცენებასთან დაკავშირებით იქმნებოდა ისეთი სამართლებრივი ნორმების შემუშავების აუცილებლობა, რომლის საფუძველზეც მონესრიგდებოდა სამართლის სუბიექტთა უფლებრივი ურთიერთობა.¹⁵ უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად ჩაითვალა შემუშავებული ყოფილიყო სამართლის ნორმები, რომლის შესაბამისადაც მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ, მისი სამკვიდრო ქონება გადაეცემოდა უფლების სხვა სუბიექტს.¹⁶ აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია თუ საკითხის განხილვას დავინწყებთ შორეულ წარსულში მიღებული კანონისმიერი მემკვიდრეობის ძირითადი ნორმებიდან. ქართული სამემკვიდრეო სამართლის ისტორიის საკითხებზე გარკვეულ ცნობებს გვანვდის დავით აღმაშენებლის ანდერძები, ასევე XIII საუკუნის ძეგლი - ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის ანდერძი შიომღვიმისადმი, სამემკვიდრეო სამართალის საკითხებს არეგულირებს ბაგრატ კურაპალატის, გიორგი ბრწყინვალეს, ბექასა და ალბუდას სამართლის წიგნები, ხოლო XVIII საუკუნიდან ვახტანგის სამართლის წიგნი და მის მიერ შედგენილი კოდიკო.¹⁷ საინტერესო ცნობებია მოცემული XIX საუკუნის დასაწყისის შედგენილ ძეგლებში "საქართველოს ჩვეულებითი სჯული" და სხვა.¹⁸

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, მემკვიდრეობითი სამართალი შეიძლება მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა. უკვე VIII-IX საუკუნეებში საქართველოში მემკვიდრეობითი სამართალი არსებობდა. თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა არ უარყოფს, რომ მემკვიდრეობის დაუნერგელი ადათ-წესები არსებობდა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე.¹⁹

სამემკვიდრეო სამართალი, როგორც ჩანს, საქართველოში იმ პერიოდში წარმოიშვა, როდესაც საგვარეულო სახლი ცალკეულ მცირე ნაწილებად დაიყო. ქართულ სამართალში ცნობილია, რომ მშობლები შვილებს წილს ასაკის მიხედვით აძლევდნენ - უფროსს მეტი წილი ეკუთვნოდა და მას „საუხუცესო“ ეწოდებოდა. წილი გაუთხოვარ ქალებსაც ეძლეოდათ. თუ ოჯახს მამრობითი სქესის მემკვიდრე არ ჰყავდა, მემკვიდრეობა ქალს რჩებოდა და მის შთამომავლობაზე გადადიოდა. თუკი ოჯახი საერთოდ უშვილოდ გადავიდოდა, ასეთი ოჯახის ქონება სახელმწიფო საკუთრებად რჩებოდა.²⁰ კანონისმიერი მემკვიდრეობის წესები შეიცავს ხალხის ზნეობის შესაბამის ნორმებს. მეორე მხრივ, კანონისმიერი მემკვიდრეობის წესები ადათობრივ ნორმებსაც

¹⁵ ირინე ღლონტი, როგორ გვეხმარება კანონი მემკვიდრეობის უფლების დაცვაში - #3(99), 2008

¹⁶ იქვე

¹⁷ ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2000, 6.

¹⁸ იქვე.

¹⁹ .იხ.ნ. როსეფაშვილის სტატია - მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით,

²⁰ ფრიდონ საყვარელიძე, ადამიანის უფლებები და ქართული სამართლის ძეგლები, თბილისი 2004

ეყრდნობა. ადათი ხომ ის ქცევის წესია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდება და მას ნებაყოფლობით ასრულებს საზოგადოება. სწორედ იმიტომ, რომ საზოგადოების წევრები ნებაყოფლობით ასრულებენ ადათობის ნორმებს (ამ შემთხვევაში სამკვიდრო ქონების მიკუთვნების ნორმებს), ადათი შეიძლება საფუძვლად დაედოს სამემკვიდრეო კანონს და ადათი იქცეს კანონად.²¹

ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით სამემკვიდრეო ქონება წარმომდგარია მამულისაგან, ანუ მამისეულისაგან, რომელსაც ბევრგან "სამკვიდრო" ეწოდება, რადგან იგი მემკვიდრეობით გადადიოდა.²² ივ. ჯავახიშვილი არკვევს მემკვიდრეობითი სამართლის აღმნიშვნელ ტერმინებს. მისი აზრით, მემკვიდრეს (მამრობითი სქესის ჩამომავალს) "მკვიდრი" ერქვა. ამასთან, საკუთრების დამკვიდრება, ანუ მიღება შეიძლებოდა მშობლების სიკვდილის შემდგომ.²³ ივანე ჯავახიშვილის მითითებით, ქრისტიანული მართლმადიდებლური საქართველოში ეს წესი დაცული არ იყო და შვილებს თანაბარი წილი არ ეძლეოდათ.²⁴ ქალი იმ შემთხვევაში მიიღებდა მემკვიდრეობას, თუ იგი იყო "სახლსა შინა", ე.ი. გათხოვილი არ ყოფილა. გათხოვილ ქალს მშობლების მემკვიდრეობაში წილი არ ეკუთვნოდა. მაგრამ, როდესაც სახეზე არ იყვნენ მამრობითი სქესის მემკვიდრეები და მამული უმკვიდროდ რჩებოდა, მაშინ ქონება და "მამულ-დედული" მდებარეობით სქესსა და მის შთამომავლებზე გადადიოდა. ამის საპირისპიროდ, დ. ჯალაბაძის ცნობით, ოჯახის გაყოფის დროს, `ძმებს [...] თუ დაც ყავდათ, მას გაყოფისას მზითვის გარდა არაფერი ეძლეოდა – `ქალ წილ არ აქვს` – ხოლო თუ ის გაუთხოვარი დარჩებოდა, მას დარჩებოდა მშობლების სამარხი ქონება. ამის შესახებ ვახტანგ VI-ის სამართლის 257-ე მუხლის თანახმადაც, გაუთხოვარ ქალიშვილს წილის სახით ეძლეოდა ქონება, მაგრამ არა მინის ნაკვეთი.²⁵

ქართული სამართლის მიხედვით, მემკვიდრეობა ეფუძნებოდა სისხლით ნათესაურ პრინციპს, ქონება გადადიოდა დედის ნათესავებზე, ბავშვის ნათესავებზე დედით ხაზით.²⁶ ქართული ისტორიული სამართალი არეგულირებს ქალიშვილების სამემკვიდრეო საკითხებსაც, მაგრამ არ უთანაბრებს მას ვაჟიშვილს. გაუთხოვარი ქალიშვილიც მემკვიდრე გამოდის. რაც შეეხება გათხოვილ ქალს, მას მემკვიდრეობა არ ეძლევა, მისი სამემკვიდრეო უფლებები მზითვით შემოიფარგლებოდა.

²¹ მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი პრინციპები საქართველოს შორეულ წარსულსა და დღევანდელეობაში / ირინე ლლონტი // აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები, გვ 16-20, 2010 წ. თბილისი.

²² მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი პრინციპები საქართველოს შორეულ წარსულსა და დღევანდელეობაში / ირინე ლლონტი // აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები, გვ 16-20, 2010 წ. თბილისი.

²³ იქვე

²⁴ მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი პრინციპები საქართველოს შორეულ წარსულსა და დღევანდელეობაში / ირინე ლლონტი // აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები, გვ 16-20, 2010 წ. თბილისი.

²⁵ ჯალაბაძე დ., მასალები ფეოდალურ და ქრისტიანულ წესდებებში სამართალი, რვ., გვ. 87; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი,

²⁶ .ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობით სამართალი, უფლება, თბილისი, 2000.

ზოგადად მემკვიდრეობის ინსტიტუტის განვითარება თანდათან მოხდა. გაცილებით დახვეწილი სახით კი რომის კერძო სამართალში ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით კი იუსტინიანეს კანონებში, რომლის დებულებები საფუძვლად დაედო მრავალი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს არა მხოლოდ მემკვიდრეობით, არამედ სხვა სამოქალაქო სამართლებრივ ინსტიტუტებსაც.

სამკვიდროს ცნება და მნიშვნელობა

სამოქალაქო სამართლის ძირითადი ინსტიტუტები, რომლებიც თავისი სპეციფიკური თავისებურებებით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სამართლებრივი რეგულირების ხასიათზე, არის საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული ანალოგიური ურთიერთობები, ეკონომიკური ბრუნვის ურთიერთობები, პირადი, არაქონებრივი ურთიერთობები, შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობები, საოჯახო ურთიერთობები, მემკვიდრეობითი ურთიერთობები და ა.შ.

იურიდიული ლიტერატურა ამბობს, რომ სამართლის სხვა დარგებთან ერთად მემკვიდრეობითი სამართალი სამოქალაქო სამართლის ცენტრალურ და სოციალურად მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს. ეს დაკავშირებულია თაობების სურვილთან, მოახდინონ თავიანთი კაპიტალის ინვესტირება მომავალი თაობების აღზრდა-განათლების საკითხში. აქედან გამომდინარე მემკვიდრეობამ მიიღო ახალი ფუნქცია და ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ საკუთრების გადაცემა, ეს არის ოჯახური დისციპლინის გარანტია.

რაც შეეხება სამკვიდროს და ზოგადად მემკვიდრეობას, იგი დაკავშირებულია გარდაცვლილი პირის ქონებრივ უფლებებთან, ასეთი უფლებების გაყოფასთან, მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფი პირების ფინანსურ უზრუნველყოფასთან.

სამკვიდროს ცნების ტრადიციული განმარტება მიუთითებს იმაზე, რომ სამართლებრივი ურთიერთობები, ქონებრივი და პირადი ხასიათის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც წარმოშობილი იყო ადამიანის სიცოცხლეში, მისი გარდაცვალების შემდეგ გადადის სხვა პირებზე, ამ უფლებამოვალეობათა გადასვლას გარდაცვლილის მემკვიდრეებზე მემკვიდრეობა ეწოდება. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლებები და ვალდებულებები სხვა პირებზე გადადის სრულად და უცვლელად ერთსა და იმავე დროს.

რაც შეეხება უშუალოდ მემკვიდრეობის სამართალს, ეს უკანასკნელი გულისხმობს იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლის საფუძველზეც რეგულირდება მემკვიდრეობითი ურთიერთობა,²⁷ სსკ-ის 1328.I მუხლის მიხედვით, სამკვიდრო ქონება შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების, ისე ქონებრივი მოვალეობების

²⁷ შენგელია, რომან, ეკატერინე შენგელია. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი: მერიდიანი, 2017.

ერთობლიობას. ქონებრივ მოვალეობაში იგულისხმება ის ვალდებულებები, რომელიც გააჩნდა მამკვიდრებელს გარდაცვალების მომენტში, მაგალითად, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდა.²⁸ მემკვიდრეობის დიდი მნიშვნელობა და განსაკუთრებული ინტერესი იმით არის განპირობებული, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს აძლევს გარანტირებულ შესაძლებლობას, იცხოვროს და იშრომოს იმის შეგნებით, რომ მის მიერ სიცოცხლეში შექმნილი მატერიალური თუ სულიერი სიკეთე გადავა თავისი ახლობლების ხელში.²⁹ თუმცა მიუხედავად განვითარებული აზრისა, საზოგადოებაში ცალსახად არ არსებობს ერთგვარი დამოკიდებულება. ვიანაიდან, ერთის მხრივ, ის ხელს უწყობს სოციალური უთანასწორობის რეპროდუცირებას. მეორეს მხრივ, კი არის სოციალური განსხვავებების ზრდის პირდაპირი მიზეზი. მემკვიდრეობა უპირატესობას ანიჭებს უმაღლესი განათლების მქონე პირებს და დისკრიმინაციას ახდენს იმ პირთა მიმართ, რომლებსაც, ნებისმიერ შემთხვევაში, უფრო მწირი შანსი აქვთ უმაღლესი სოციალური პოზიციების მისაღწევად.³⁰ მემკვიდრეობა თავისი ვიწრო გაგებით გულისხმობს საკუთრების გადაცემას. მემკვიდრეობის ინსტიტუტი ყველაზე ძველ სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს. სამოქალაქო სამართლის, მათ შორის, მემკვიდრეობის სამართლის განვითარება საქართველოში ხასიათდება თავისებურებებით, რომლებიც უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ისტორიული ფაქტორით – მოქალაქეებს ნახევარ საუკუნეზე მეტხანს თავს ახვევდნენ სპეციფიკურ მენტალიტეტს, რომელიც არ აღიარებდა კერძო საკუთრების უფლებას და მემკვიდრეობის მიღება ფაქტობრივად, უშრომელი შემოსავლის ერთ-ერთ სახედ მიიჩნეოდა.³¹ აქედან გამომდინარე, მემკვიდრეობის სახით კი საკუთრების გადაცემა ხელს უწყობდა საზოგადოების სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას.

სამემკვიდრეო სამართლის ობიექტები

„მემკვიდრეობის სამართლის ობიექტი თანამედროვე ქართული სამართლის მიხედვით, არის სამკვიდრო. იგი შედგება სამკვიდრო აქტივისა და პასივისაგან. აქტივს წარმოადგენს მამკვიდრებლის ქონებრივი უფლებები - უფლებები ნივთებსა (მატერიალური სიკეთეები) და არამატერიალურ სიკეთეებზე. მატერიალური სიკეთე შეიძლება იყოს უძრავი ან

²⁸ გუგა აბდუშელიშვილი, *მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი უურნალი, 2014, 7.*

²⁹ შენგელია. რ., შენგელია ე., *მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2011.*

³⁰ Marc Szydlak, *Inheritance and Inequality: Theoretical Reasoning and Empirical Evidence. 2004.*

³¹ კობრეიძე. ლ., *ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2014, 10*

მოძრავი. რაც შეეხება სამკვიდრო პასივს, მასში შედის მამკვიდრებლის ქონებრივი მოვალეობები „³² მათი ერთობლიობა კი ქმნის სამკვიდროს ქონებას.³³ დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.³⁴ “ კონსტიტუციაში ასეთი უფლების დამაგრება იმავდროულად, განაპირობებს სახელმწიფოს ვალდებულებას, აღიარებდეს, უზრუნველყოფდეს და იცავდეს მას.³⁵ საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულმა ნორმამ განვითარება ჰპოვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნში (მემკვიდრეობის სამართალი), რომლის მიღებასთან ერთად, მემკვიდრეობის ინსტიტუტმა კარდინალური ცვლილებები განიცადა. ³⁶ ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რომ ვთქვათ სამკვიდრო ეს არის, მამკვიდრებლის სიცოცხლეში წარმოშობილი მისი ქონებრივი უფლებები, არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები და ა.შ.

ქონება რომელიც გადადის მემკვიდრეობით

სამკვიდრო ქონებას წარმოადგენს ის უფლება მოვალეობები, რომლის მატარებელიც იყო მამკვიდრებელი თავის სიცოცხლეში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1306-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით, მემკვიდრეობის საფუძვლებს წარმოადგენს ანდერძი და კანონი. ³⁷ მემკვიდრეობით გადადის არა თავისთავად ნივთი, არამედ უფლება ამ ნივთზე³⁸. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდრო ქონება შეიცავს მამკვიდრებლის, როგორც ქონებრივი უფლებების, ისე ქონებრივი ვალდებულებების ერთობლიობასაც. სამკვიდროში ასევე, შედის მამკვიდრებლის ნილი საერთო საკუთრებაში და ა.შ.

ქონება რომელიც არ გადადის მემკვიდრეობით

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს სამკვიდრო ქონების ძირითად პრინციპებს. ეს პრინციპები კი თავის მხრივ გულისხმობს, იმ ქონებრივ უფლება-

³² ირინე გველეხიანი, სამკვიდრო, როგორც მემკვიდრეობის სამართლის ობიექტი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და მონტანას კოდექსის მიხედვით) „ინტელექტუალი“, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, საერთაშორისო სამეცნიერო ურუნალი, # 6, გვ.39

³³ შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი თბილისი 2011.

³⁴ საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995, 21-ე მუხლის პირველი პუნქტი

³⁵ ლეილა კობრეიძე, ურუნალი მართლმსაჯულება და კანონი ვ#2(41)'14, 9,

³⁶ იქვე.

³⁷ შენგელია, რომან, ეკატერინე შენგელია. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი: მერიდიანი, 2017.

³⁸ იხ. შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, გამოცემლობა „მერიდიანი“, 2000, 29-30.

მოვალეობებს რომლებიც შედის ან საერთოდ არ მონაწილეობს მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებში. ამავე კოდექსის 1330-ე მუხლი ამბობს, რომ სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, მაგ: ავტორობის უფლება, სამსახურში მიუღებელი ხელფასი და ა.შ. ასევე კანონით ან ხელშეკრულებით გავთვალისწინებული უფლებები და მოვალეობები. სამკვიდროში არ შედის საალიმენტო უფლებები და მოვალეობები, პენსიის მიღების უფლება და ა.შ.³⁹ მემკვიდრეობით არ გადადის ჩუქების გაუქმების უფლებაც.⁴⁰ ყველა ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად სამკვიდროში არ შედის და მემკვიდრეთა შორის არ გაიყოფა. საგვარეულო წიგნები,ოჯახური მატთანე, საკულტო წიგნები და ა.შ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გადაეცემა გარდაცვლილის უფლებამონაცვლეს არა მემკვიდრეობის, არამედ დამკვიდრებული ჩვეულების საფუძველზე.

მემკვიდრეობით სამართლებრივი უფლებების სახეები

მემკვიდრეობითი სამართალი აწესრიგებებს მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს მემკვიდრეობის მიღების ძირითად საფუძვლებს. მოქმედი კანონმდებლობით არსებობს ორი სახის მემკვიდრეობა: ანდერძით მემკვიდრეობა და კანონით მემკვიდრეობა. გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძველით. საკითხის განხილვის სრულყოფილებისათვის აუცილებელია განვიხილოთ, თუ ვინ შეიძლება იყოს მამკვიდრებელი და ვინ შეიძლება იყოს მემკვიდრე და არსებობს თუ არა რაიმე შეზღუდვები ამ პირთა მიმართ კანონმდებლობაში. მამკვიდრებელი (სამკვიდროს დამტოვებელი) ის პირია, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება სხვა პირზე გადადის, სწორედ მისი გარდაცვალებაა სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის ძირითადი საფუძველი.⁴¹ როდესაც საქმე ეხება კანონით მემკვიდრეობას, პრობლემატური საკითხები ნაკლებად იკვეთება. კანონისმიერი მემკვიდრეობის შემთხვევაში, გარდაცვლილის ქონების გადასვლა ხდება კანონში მითითებულ პირებზე და წარმოიშობა კანონში ზუსტად მითითებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. კანონით მემკვიდრეები არიან პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, და აგრეთვე მამკვიდრებლის

³⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000, 385.

⁴⁰ ამასთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, 86.

⁴¹ შენგელია, რომან, ეკატერინე შენგელია. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი: მერიდიანი, 2017.

შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადნენ. კანონი მემკვიდრედ ყოფნის უფლებას უკავშირებს არა დაბადებას, არამედ ჩასახვას.⁴² 1309-ე მუხლში მოყვანილია ქორწინების გარეშე შობილი ბავშვის, როგორც მამის მემკვიდრის, სამართლებრივი უფლება. კანონი მკაცრად განმარტავს ძირითად წინაპირობას – ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი მამის მემკვიდრედ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მამობა აღიარებულია კანონით დადგენილი წესით.⁴³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით განსაზღვრულია მემკვიდრეთა წრე. კანონით მემკვიდრეთა წრე დაფუძნებულია მემკვიდრის მამკვიდრებელთან ნათესაურ კავშირზე. ჩვენს შემთხვევაში კანონით მემკვიდრეთა წრე საკმაოდ ფართოა, მაგრამ ყველა კანონით მემკვიდრეს ერთნაირის სიახლოვე არ აქვს მამკვიდრებელთან, ამიტომ, კანონი ფიზიკურ პირთა მემკვიდრეებად მოწვევის თანმიმდევრობას ადგენს მამკვიდრებელთან ნათესაური სიახლოვის ხარისხის მიხედვით. ნორმაში გათვლისწინებულია ხუთი რიგის წინა მემკვიდრე. ძველი რომის მემკვიდრეობის სამართალში დადგენილი იყო კანონით მემკვიდრეთა ოთხი რიგი, ნათესაობის მექვსე საფეხურის ჩათვლით. ამასთან, წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავდა შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.⁴⁴

რაც შეეხება მემკვიდრეობის მიღების მეორე საფუძველს, ეს არის მამკვიდრებლის უკანასკნელი ნება, რომელიც გამოხატულია ანდერძში. მოქმედი კანონმდებლობა განამტკიცებს ანდერძის თავისუფლების პრინციპს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევაში თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც,“ აღნიშნული ნორმა ხაზს უსვამს ანდერძის თავისუფლების პრინციპს და გამორიცხავს სხვა პირთა არამართლზომიერ ჩარევას და გავლენის მოხდენას მამკვიდრებლის შინაგან ნებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანდერძი ყოველთვის გამოხატავს მამკვიდრებლის ნებას და ამით ის ფაქტობრივად წარმოადგენს გარიგებას. ანდერძში რადგან ერთი პირის ნებაა გამოხატული, იგი ცალმხრივი გარიგების ყველაზე გავრცელებულ და კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. იგი ისეთი ცალმხრივი გარიგებაა, რომელიც უპირატესობას მესამე პირებს ანიჭებს.⁴⁵ ერთი პირის – მონდერძის მიერ გამოვლენილი ნება აუცილებელი და საკმარისია საანდერძო განკარგულებისათვის იურიდიული ძალის მისანიჭებლად.⁴⁶ ანდერძის ცალმხრივობას ისიც განაპირობებს, რომ მისი ნამდვილობისათვის არ არის საჭირო სხვა პირის წინასწარი ნების თანდამთხვევა.

⁴² იქვე

⁴³ შენველია, რომან, ეკატერინე შენველია. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი: მერიდიანი, 2017, 319

⁴⁴ Киселева Н.А., Римское право, М., 2007, Стр. 28

⁴⁵ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 298.

⁴⁶ Аверченко Н.Н., Наследствие по завещанию, Гражданское право, Учебник, под ред. А.П. Сергеева, Т. 3, М., 2012, 650

საკმარისია მხოლოდ მონადერძის ნება.⁴⁷ რაც შეეხება, უშუალოდ სამკვიდროს მიღებას – ეს არის ნებითი მოქმედება, „მემკვიდრის თანხმობის გარეშე და მისი ნების საწინააღმდეგოდ იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამკვიდროს მიმღებ პირად. იმისათვის, რომ სამკვიდროს მიღება იყოს ნამდვილი და წარმოშობდეს მემკვიდრეთა უფლებებს სამკვიდროზე, იგი, როგორც ყველა სხვა გარიგება, უნდა პასუხობდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს.“⁴⁸ ანდერძის შედგენით მონადერძის ნება გარკვეული მოქმედების შესრულებით მიმართულია სამართლებრივი შედეგის მიღწევისკენ.⁴⁹ თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ამ შედეგმა საფრთხე არ შეუქმნას სხვა მემკვიდრეების ინტერესებს. არსებული შედეგის დადგომით არ უნდა დაირღვეს არც ანდერძისმიერი და არც კანონისმიერი მემკვიდრეების ინტერესები. ანდერძის თავისუფლება, რაც მონადერძის მიერ თავისი შეხედულებისამებრ ქონების თავისუფალ განკარგვაში გამოიხატება, არ უნდა უქმნისეს საფრთხეს კანონისმიერ მემკვიდრეებს, რომელიც ისტორიულად ყალიბდებოდა, როგორც ადამიანის ბუნებითი უფლებების რეალიზაციის გზა.⁵⁰ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავად ანდერძის თავისუფლებისა, მამკვიდრებელი სწორედ, რომ კანონისმიერი მემკვიდრეებისგან ირჩევს ანდერძისმიერ მემკვიდრეებს. „ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, როგორც წესი, საკანონმდებლო ფიქციაა და სავარაუდოა, რომ მეტწილად იგი კანონისმიერი მემკვიდრეობის სუროგატს წარმოადგენს. იგი იშვიათად იჭრება ხოლმე კანონისმიერი მემკვიდრეობის ფარგლებიდან.“⁵¹

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი მფლობელობით ან/ და მართვის გზით

თავისი სამართლებრივი ბუნებით სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა. იგი ისეთი იურიდიული მოქმედებაა, რომელიც გამოიხატავს სამკვიდროს მიღების სურვილს, ნებას. პირის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამავე კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად, „სამკვიდრო მიღებულ

⁴⁷ ეკატერინე ნანდოშვილი, ანდერძი და სამკვიდრო ქონება, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი #3(55)'17, 102.

⁴⁸ კობრეიძე. ლ., ზოგიერთი სამოქალაქოსამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2014. 28.

⁴⁹ ეკატერინე ნინუა, ანდერძი, როგორც სამკვიდროს მიღების ერთ-ერთი საშუალება მართლმსაჯულება და კანონი, #1(40)'14, 129

⁵⁰ შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2000, გვ. 86.

⁵¹ ბ. ზოიძე, ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობის სამართალი, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1991

უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან,, სასამართლოს განმარტებით, სამკვიდროს გახსნის შედეგად მემკვიდრეობის მიღებისათვის მხოლოდ მემკვიდრეობის უფლების ქონა საკმარისი არ არის, ანუ მხოლოდ უფლების არსებობა არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. აღნიშნული უფლების სარეალიზაციოდ აუცილებელია კონკრეტული მოქმედების განხორციელება - მემკვიდრეობის მიღება. მემკვიდრეობის სამართალი სამკვიდროს მიღების ორ ფორმას იცნობს - მემკვიდრეობის მიღებას უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვითა და ფაქტობრივი დაუფლებითა და მართვით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა შეიძლება გამოიხატოს სამკვიდრო უძრავი ქონებით სარგებლობაში, ამ ქონებაში ცხოვრების ფაქტით, მისი მოვლა-პატრონობით, გაქირავებით, სამკვიდროში არსებული მოძრავი ნივთების დაუფლებითა და სარგებლობით.⁵² ყოველივე ზემო აღნიშნული ადასტურებს, რომ ქონების ფაქტობრივი მართვა არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ არსებული ქონების უშუალო მართვას. ქონების ფაქტობრივ მართვაში შესაძლოა უსგულისხმებოდეს, ისეთი შემთხვევები, როდესაც მემკვიდრის მოქმედებებით დასტურდება, ფაქტი რომ სამკვიდროს თავისად მიიჩნევს. მაგალითად, სამკვიდროს გახსნის შემდეგ იხდის გადასახადებს და ა. შ.

უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვა შეზღუდულია დროით. ამ მოქმედების განხორციელების შედეგად მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო უკვე შეიძინა და იგი არის მისი მესაკუთრე. მითითებულ დანაწესში კანონმდებელი უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს მემკვიდრის ნების დადგენას - სურს თუ არა მას სამკვიდროს მიღება.⁵³

ამასთან, სასამართლო მიიჩნევს, რომ ისეთ მოქმედებად, რომელიც ცხადყოფს სამკვიდროს მიღების ფაქტს, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასევე სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს წინაშე სამკვიდრო მასაზე პრეტენზიის განცხადება. როგორც ქონების ფაქტობრივი ფლობის, ისე ფაქტობრივი მართვის შემთხვევაში მემკვიდრეს შეუძლია მიმართოს ნოტარიუსს და მოითხოვოს სამკვიდროს მიღება. ასეთი ტიპის მემკვიდრეობის დროს სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადები არ არსებობს, რადგან იგულისხმება, რომ ქონება მემკვიდრის მხრიდან ისედაც მიღებულია და სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსთან მისვლა და ოფიციალური სახის მიცემა მხოლოდ მემკვიდრის ნებაზეა დამოკიდებული.

⁵² თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 3, 6-7, 14 თებერვალი, 2013 წელი, ქ.თბილისი საქმე №2ბ/4097 12

⁵³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 30 იანვარი, 2011 წელი თბილისი, საქმე №2ბ/3489-11

მემკვიდრეობის სუბიექტები და მათი ინტერესების დაცვის სამართლებრივი ანალიზი

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ არაერთხელ განვმარტეთ გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლის ძირითადი პრინციპები და ზოგადად ვისაუბრეთ მემკვიდრეობის სამართალზე. სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეობზე გადასვლის წესსა და ფარგლებს, შეადგენენ სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ნაწილს, რომელსაც მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება. თავად პირის მემკვიდრედ მონვევა და სამკვიდროს მიღების უფლება კი არის მემკვიდრეობის უფლება.⁵⁴ თავად მემკვიდრეობის უფლების გარანტია ორგვარი სახისაა: მამკვიდრებლის უფლება, ანდერძის საფუძველზე განკარგოს საკუთარი ქონება და მემკვიდრის უფლება, შეიძინოს შესაბამისი საკუთრება მემკვიდრეობის გზით.⁵⁵ მემკვიდრეობის კონსტიტუციური უფლება, აქედან გამომდინარე, წარმოადგენს ძირითადი უფლების სახით რეგლამენტირებული თავისუფლების გარანტიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს.⁵⁶ მემკვიდრეობის უფლება პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. ამასთანავე მემკვიდრეობა საკუთრების შექმნის ან მისი განკარგვის ერთ-ერთი ფორმაა.⁵⁷

ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისას

გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეობზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით ანდა ორივე საფუძველით. კანონით მემკვიდრეობა გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე- მოქმედებს თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი⁵⁸

მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ნაშრომის მიმდინარე ნაწილის ძირითად პრობლემას წარმოადგენს მოანდერძის კანონიერი ინტერესები და მათი განხორციელების შესაძლებლობები. როგორც ვიცით, ანდერძით მემკვიდრეობისას, ქონება შესაძლოა მამკვიდრებლის მიერ გადაეცეს პირს, რომელიც არ არის ან არის კანონით მემკვიდრეთა რიგიდან. ანდერძით მემკვიდრეობს განსაზღვრავს თავად მამკვიდრებელი, რომელიც,

⁵⁴ ზ. ახვლედიანი, "მემკვიდრეობის სამართალი" გამომცემლობა ბონა-კაუზა. თბილისი 2007 წ. რედ: ბ ზოიძე.

⁵⁵ ანა ფირცხალაიშვილის, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მემკვიდრეობა, 2013, 212

⁵⁶ იქვე

⁵⁷ იქვე

⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1306

შესაძლოა იყოს გარეშე, მესამე პირი (მამკვიდრებლის მეგობარი, მეზობელი და ა.შ).⁵⁹ სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს ანდერძის თავისუფლების პრინციპს. ანდერძის თავისუფლების პრინციპის განმტკიცება და მისი სრულყოფა კი მეტწილად დამოკიდებულია მოანდერძის ინტერესებზე და არსებული ინტერესების დაცვაზე. ანდერძით განსაზღვრული საკითხი მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების გამოხატულება, აქედან გამომდინარე მისი აღსრულება სავალდებულოა. თუმცა, საინტერესოა ანდერძის თავისუფლება, რაც მოანდერძის მიერ თავისი შეხედულებისამებრ ქონების თავისუფალ განკარგვაში გამოიხატება, ხომ არ უქმნის საფრთხეს სხვა მემკვიდრეებს ან ზღუდავს მათ კანონისმიერ თუ ანდერძისმიერ უფლებებს. გამომდინარე აქედან, მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით თითქმის ყოველთვის არსებობს დავა. დავების უმრავლესობა კი გადაეცემა სასამართლოს. გამომდინარე იქიდან რომ კანონი არ არის სრულყოფილი და უხარვეზო, ხშირად გადაწყვეტილება დაფუძნებულია შინაარსობრივად ერთმანეთის საწინააღმდეგო ნორმებზე. ამასთანავე, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოების მიერ უსაფუძვლოდ არაერთგვაროვნად განიმარტება მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ნორმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის მიხედვით: „ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც“. წინამდებარე მუხლის მიზნად ისახავს უახლოესი ნათესავების უფლებების დაცვას, რომლებიც გარდაცვლილის ოჯახს წარმოადგენენ. კანონი მოანდერძეს აძლევს საშუალებას თავად გაანაწილოს როგორც თავისი მთლიანი ქონება ასევე მისი ნაწილი. თუმცა წინამდებარე მუხლი გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლთან. „ ანდერძის შინაარსის მიუხედავად, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა, ალნიშნული ინსტიტუტის შემოღებით კანონმდებელმა ცალსახად შეზღუდა ანდერძის თავისუფლება, გაითვალისწინა პირველი რიგის კანონით მემკვიდრეთა ინტერესები და ანდერძის შინაარსის მიუხედავად, პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიაკუთვნა იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ქონების თავისუფალი განკარგვა საკუთარი ნების თანახმად წარმოადგენს პიროვნების განვითარების თავისუფლების ნაწილს, რომელიც დაცულია კონსტიტუციით. დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი ამომწურავად, მაგრამ განსხვავებულად ადგენს სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირთა

⁵⁹ თამარ გრიგოლაია, ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე). (გრიგოლაია)

წრეს და სამკვიდროდან იმ წილის ოდენობას, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოთ.⁶⁰ სახელდობრ, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი)⁶¹ ზემოთ განხილული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლისა და 1371-ე მუხლების ურთიერთსაინანაღმდეგო შინაარსზე, რადგან მოცემულ შემთხვევაში სახეზეა კონკურენცია ორ სიკეთეს შორის: გარდაცვლილის ნება და პირველი რიგის მემკვიდრეების უფლება, მიიღონ სამკვიდრო. კანონმა აქ შუალედური მიდგომა აირჩია, მიაკუთვნა მათ იმის ნახევარი, რაც კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდათ. თუმცა მიუხედავად ამ შუალედური მიდგომისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანდერძის თავისუფლების პრინციპი ქართულ კანონმდებლობაში სრულად ვერ პოულობს გამოხატულებას და მის ფიქციურობას უსვამს ხაზს.

არსებული მიდგომა არ ახასიათებს მხოლოდ ქართულ სამართალს, რეალურად მასზე გავლენა მოახდინა რომის სამართალმა. რომის სამართალი იცნობდა მემკვიდრეობაში სავალდებულო წილს. ამას ადგილი ჰქონდა მაშინ როდესაც მოანდერძე თავის ქონებას სურვილის მიხედვით უტოვებდა არა კანონიერ მემკვიდრეებს არამედ გარეშე პირებს.

ცივილური სამართლის უახლოეს ნათესავებად ითვლებოდნენ აგნატები (სისხლის ნათესავები). პრეტორმა სვალდებულო წილის უფლება ემანსიპირებულ შვილებსაც მიანიჭა.

ერთის მხრივ ანდერძის თავისუფლების პრინციპისთვის დამახასიათებელ თავისებურებას ოდითგანვე წარმოადგენდა მისი აბსოლუტური ხასიათის ერთგვარი შეზღუდვა. მოანდერძეს არ უნდა ჰქონოდა მთელი თავისი ქონების ანდერძით მემკვიდრეთა შორის სრულად განაწილების უფლება. ქონების გარკვეული ნაწილი აუცილებლად უნდა დარჩენილიყო ანდერძის მიღმა და გამოყენებული უნდა ყოფილიყო ოჯახის წევრების ინტერესების დასაცავად.⁶² ან ანდერძით ქონება ისე უნდა ყოფილიყო განაწილებული, რომ არ ყოფილიყო საჭირო ამ მუხლის გამოყენება. ოჯახის წევრებს გარანტირებული უნდა ჰქონოდათ მოანდერძის ქონებიდან წინასწარ განსაზღვრული წილის მიღების შესაძლებლობა.⁶³

⁶⁰ შპინ ბილიონგი, უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 6, №4, თბილისი, 2003, გვ. 520.)

⁶¹ იქვე.

⁶² თამარ გრიგოლაია, ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე)

⁶³ იქვე

სამოქალაქო კოდექსის 1344-ე და 1371-ე მუხლები წინამდებარე მსჯელობიდან გამომდინარე ერთმანეთს ეწინააღმდეგება. თუმცა, თუ ანდერძით მემკვიდრეობის ნაცვლად სახეზე გვექნება კანონით მემკვიდრეობა გამორიცხული არ არის, რომ ისინი გარკვეულ შემთხვევებში, ავსებდნენ ერთმანეთს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1374-ე მუხლის თანახმად, თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ ყოფილიყო. კანონით მემკვიდრეთა წრე კი, მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლში.⁶⁴

ჩვენთვის უცხო არ არის ის ფაქტი, რომ სავალდებულო წილის არსებობა ქართულ კანონმდებლობაში ერთ-ერთ წინადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. თუმცა მიუხედავად ამ ფაქტისა მუხლის შინაარსიდან გამომდინარე პრაქტიკაში გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებით. ქონება, რომელსაც მამკვიდრებელი განკარგავს არის მისი საკუთრება. პირი უფლებამოსილია ფლობდეს და განკარგავდეს ქონებას. დაუშვებელია საკუთრებაში არსებული ქონების თვითნებურად ჩამორთმევა. ეს უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და მხოლოდ კანონით და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პირობებით. საკუთრების უფლების გაუქმება დაუშვებელია. აღნიშნულ მსჯელობას მიყვარათ იქამდე, რომ საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური. რაც შეეხება თავად ანდერძის თავისუფლების პრინციპს, ერთგვარად ეს უკანასკნელი არის ფიქცია და არ ემსახურება მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების სრულად დაკმაყოფილებას. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა კონკურენცია ორ სიკეთეს შორის: გარდაცვლილის ნება და პირველი რიგის მემკვიდრეების უფლება, მიიღონ სამკვიდრო. კანონმა აქ შუალედური მიდგომა აირჩია, მიაკუთვნა მათ იმის ნახევარი, რაც კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდათ, მიუხედავად იმისა რომ ეს პირის სულაც არ ყოფილა მოხსენიებული ანდერძში. ლოგიკური იქნებოდა სავალდებულო წილის არსებობა იმ შემთხვევაში, როდესაც მონადერძემ ანდერძით გაითვალისწინა სამკვიდროს გარკვეული ნაწილი, ხოლო ანდერძს მიღმა დარჩენილი ქონება, რომელიც უნდა განაწილდეს კანონით მემკვიდრეებს შორის იქნებოდა აშკარად მცირე იმასთან შედარებით რასაც ისინი მიიღებდნენ სავალდებულო წილის სახით მთლიანი სამკვიდროდან.⁶⁵

⁶⁴ კობრიძე, ლ., ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2014, 24

⁶⁵ თამარ ვრიგოლაია, ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე)

სავალდებულო წილის განსაზღვრისას

ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ მოანდერძის ინტერესების დაცვის სამართლებრივი ჩარჩოები და ჩამოვაცალიბეთ ამ ინტერესების დაცვის მექანიზმები. თუმცა განსახილველი საკითხი ამით არ ამოწურულა. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიმაჩნია განვსაზღვროთ მოანდერძის ინტერესები არა მხოლოდ ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისას, არამედ სავალდებულო წილის განსაზღვრისას. როგორც ვიცით, სავალდებულო წილის ინსტიტუტი მემკვიდრეობის სპეციფიკურ სახედ შეიძლება იქნას მიჩნეული. იგი ცალსახად არც კანონისმიერ და არც ანდერძისმიერ მემკვიდრეობას არ მიეკუთვნება. მასში ორივე სახის მემკვიდრეობის ელემენტების პოვნა შეიძლება. სავალდებულო წილის მემკვიდრეობით მიღება კანონით მემკვიდრეობის სახესხვაობა იმიტომ არ არის, რომ იგი მთლიანად არის განპირობებული ანდერძის არსებობით.⁶⁶ ანდერძით მემკვიდრეობისგან კი იმით განსხვავდება, რომ გულისხმობს ანდერძის შეზღუდვას და კანონით იმ პირთა განსაზღვრას, რომელთაც გააჩნიათ სავალდებულო წილის მიღების უფლება.⁶⁷ აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ მემკვიდრეთა უფლებები დაცულია იმით, რომ ანდერძის არარსებობის პირობებში, სამკვიდრო ქონება განაწილდება თანაბრად. ანდერძის არსებობის შემთხვევაში ასეთი მემკვიდრე იღებს სავალდებულო წილს. თუმცა მიუხედავად ამ დანაწესისა, ცალსახად არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ წინამდებარე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მის მართლზომიერებაზე. ვინაიდან სახეზე გვაქვს ორი სიკეთის დაპირისპირება, ერთის მხრივ მოანდერძის უკანასკნელი ნება და მეორეს მხრივ მემკვიდრის სავალდებულო წილის მიღების უფლება. იმ შემთხვევაში, როდესაც მოანდერძე თავისი შეხედულებით, კუთვნილი ქონების განკარგვის მიზნით, არ ტოვებს ანდერძს, ადგილი აქვს კანონით მემკვიდრეობას.⁶⁸ იმავდროულად, არის შემთხვევები, როდესაც ანდერძის არსებობის მიუხედავად წარმოიშობა კანონით მემკვიდრეობა.⁶⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის მიხედვით. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე პირები (მამკვიდრებლის შვილები, მშობლები, მეუღლე) განაცხადებენ პრეტენზიას სამკვიდროზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, 1354-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმადაც მოანდერძეს შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს და იგი არ არის ვალდებული მიუთითოს ამის

⁶⁶ ახვლედიანი ზ., *ანდერძით მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998.*

⁶⁷ იქვე

⁶⁸ კობრეიძე. ლ., *ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2014., 18*

⁶⁹ იქვე

მოტივზე”. ზემოაღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მემკვიდრეობის ჩამორთმევის მიზნით მამკვიდრებელმა შეიძლება პირდაპირ მიუთითოს იმ პირებზე, რომლებსაც მემკვიდრეობას ართმევს ან საერთოდ არ მოიხსენიოს ისინი ანდერძში. სავალდებულო წილის მიღების უფლება პირველი რიგის მემკვიდრეებს ჩამოერთმევათ მხოლოდ სასამართლოს მიერ მათი უღირს მემკვიდრედ გამოცხადების შემთხვევაში. სსკ-ის 1310-ე მუხლი ადგენს, რომ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს „პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად, ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ. (უღირსი მემკვიდრე) „ აღსანიშნავია, რომ მოანდერძესაც კი არ შეუძლია სავალდებულო წილის ჩამორთმევა ანდერძის მეშვეობით. იმ მემკვიდრის წილი, რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება ჩამოერთმევა, ანდერძით მემკვიდრეზე გადადის და არა სხვა კანონით მემკვიდრეზე.⁷⁰ ასევე, თუკი ერთ-ერთი მემკვიდრე უარს იტყვის სავალდებულო წილზე, აღნიშნული წილი არა სხვა რომელიმე სავალდებულო წილის მიმღებ მემკვიდრეს, არამედ ანდერძით მემკვიდრეს გადაეცემა.⁷¹ ზემოაღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მემკვიდრეობის ჩამორთმევის მიზნით მამკვიდრებელმა შეიძლება პირდაპირ მიუთითოს იმ პირებზე, რომლებსაც მემკვიდრეობას ართმევს ან საერთოდ არ მოიხსენიოს ისინი ანდერძში.⁷² მაგალითად თუ ანდერძში ნათქვამია, რომ მოანდერძე მთელ თავის ქონებას უტოვებს მეუღლეს და არაფერია ნათქვამი შვილზე, იგულისხმება, რომ შვილს მემკვიდრეობა ჩამოერთვა მიუხედავად იმისა რომ პირდაპირ არ არის მითითებული, რომ შვილს ერთმევა მემკვიდრეობა.⁷³ მიუხედავად იმისა ანდერძში კანონით მემკვიდრე, მოხსენიებული არის თუ არა მემკვიდრის სახით, მას მაინც (თუ არ არსებობს ის საფუძვლები, რაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას იწვევს და თუ ეს პირდაპირ არ არის აღნიშნული ანდერძში, რომ კანონით მემკვიდრე-მემკვიდრეობის უფლება ჩამორთმეულია) შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი, რომელიც იქნება იმ წილის ნახევარი რასაც ის მიიღებდა კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში ანდერძი რომ არ ყოფილიყო.⁷⁴ მიუხედავად სავალდებულო წილის ბევრი დადებითი თვისებისა, თამამად შეგვიძლია

⁷⁰ ქალთა უფლებები და სახელმწიფო დაცვის მექანიზმები, თბილისი, 2019

⁷¹ იქვე

⁷² იქვე

⁷³ თამარ გრიგოლაია, ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე)

⁷⁴ თამარ გრიგოლაია, ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე)

ვთქვათ რომ გარკვეული ნორმები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, რაც ხელს უშლის ანდერძის თავისუფლების პრინციპის განხორციელებას. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ დაკავშირებულია მოანდერძის უკანასკნელ სურვილთან.

მემკვიდრეების კანონიერ ინტერესთა დაცვის სამართლებრივი ანალიზი

მემკვიდრეობის უფლების აღიარება ემსახურება მემკვიდრეობის სუბიექტთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვას. რაც იმას გულისხმობს, რომ დაცული უნდა იყოს როგორც მოანდერძის, ასევე მემკვიდრის კანონიერი ინტერესები და არსებობს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულსა და დაცულ ინტერესს შორის. განვითარებული თვალსაზრისით ჩვენ ერთგვარად ჩამოვყალიბეთ გარკვეული პოზიცია მოანდერძის კანონიერ ინტერესებთან და არსებული ინტერესების დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით. ახლა კი ჩვენს მსჯელობას განვავითარებთ მემკვიდრეების ინტერესებთან დამოკიდებულებაში.

კანონით მემკვიდრეობისას

კანონით მემკვიდრეთა წრე, ადრე მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს კანონით მემკვიდრეთა ხუთ რიგს (1336-ე მუხლი).⁷⁵ საბჭოთა მემკვიდრეობის სამართალში, სოციალისტური სამართლებრივი სისტემის კონცეფციის შესაბამისად, რომელიც არ აღიარებდა კერძო საკუთრებას, პერსპექტივაში კი, მემკვიდრეობის ბურჟუაზიულ ინსტიტუტს, დადგენილი იყო კანონით მემკვიდრეთა მხოლოდ ორი რიგი.⁷⁶ ანდერძის არარსებობისას კანონით მემკვიდრეებად მიიჩნეოდნენ მხოლოდ ყველაზე ახლო ნათესავები.⁷⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის მიხედვით, „კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან: პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები

⁷⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997, მუხლი 1336

⁷⁶ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 1964, მუხლი 544

⁷⁷ იქვე

აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ. შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა. შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ. მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა. მესამე რიგში – ბებია და პაპა, ბებულის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებულის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან. მეოთხე რიგში – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები. მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები,, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 1336) კანონით მემკვიდრეთა ხუთ რიგს ადგენს.

მემკვიდრეობის შესახებ კანონმდებლობის განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანდათანობით ფართოვდება კანონით მემკვიდრეთა წრე.⁷⁸ რაც, მატერიალური თვალსაზრისით, ხელს უწყობს სამკვიდრო ქონების მამკვიდრებლის ნათესავებზე გადასვლას, კერძო პირთა საკუთრებაში სამკვიდრო ქონების შენარჩუნების უფრო ფართო შესაძლებლობების შექმნას.⁷⁹ მიუხედავად იმისა, რომ ნორმაში თითქოს ამომწურავად არის ჩამოყალიბებული კანონიერ მემკვიდრეთა წრე, ვფიქრობ გარკვეული დაზუსტება მაინც სჭირდება. კერძოდ საინტერესოა, საქართველოს სამოქალაქო

⁷⁸ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 1923 წელი (ცვლილებებით 1954 წლის 31 დეკემბრამდე), 418-ე მუხლი; საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 1964 წელი (ცვლილებებითა და დამატებებით 1986 წლის 1 იანვრამდე), 544-ე მუხლი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997, 1336-ე მუხლი.

⁷⁹ იქვე

კოდექსის 1336-ე მუხლით გათვალისწინებული პირველი რიგის მემკვიდრეები. ჩანაწერში ფიქსირებული ჩამონათვალი (შვილი, მეუღლე, მშობლები) სათანადო დეტალიზაციას მოითხოვს. კერძოდ: შვილები მემკვიდრეები არიან დაქორწინებული მშობლების გარდაცვალების შემდეგ.⁸⁰ ქორწინების ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა უფლებებზე და ცხადია, არც მემკვიდრეობის უფლებაზე.⁸¹ აღსანიშნავია, რომ მემკვიდრეები არიან ის შვილებიც, რომლებიც მამის გარდაცვალების შემდეგ დაიბადნენ; ანუ ადამიანის (შვილის) ჩასახვა მოხდა მამის სიცოცხლეში, მაგრამ იგი დაიბადა მშობლის გარდაცვალების შემდეგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1188-ე მუხლის მიხედვით, „მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს ათი თვისა,, . თუმცა ჩვენს საუკუნეში, მემკვიდრეობით ურთიერთობებში წინამდებარე მუხლი აზრს კარგავს. როგორც, ვიცით, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, ძირითადად უკავშირდება მემკვიდრედ ყოფნის უფლებას სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით. როგორც აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, „მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე,, თუმცა ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე. ამასთან, ჩანასახი შესაძლოა იყოს როგორც კანონით ისე ანდერძით მემკვიდრე. სსკ-ის 1336-ე მუხლი პირველი რიგის კანონით მემკვიდრეთა შორის თანასწორი უფლებით გარდაცვლილის სხვა შვილებთან ერთად განიხილავს შვილს, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა იმ პირობით, თუ არ არის გასული მემკვიდრეობის გარდაცვალებიდან ათ თვეზე მეტი თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვერდს ვერ ავუვლით თანამედროვე მედიცინის მიღწევებს, რამაც შესაძლებელი გახადა ჯერ კიდევ სინჯარაში მყოფი ემბრიონის საკმაოდ დიდი პერიოდით გაყინვის შესაძლებლობა.⁸² მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1136-ე მუხლი ამავე კოდექსის 1188-ე მუხლთან კავშირში ყოველგვარ აზრს კარგავს. სწორედ ამიტომ, დასაზუსტებელია და ამ მიმართულებით შესამუშავებელია ახალი საკანონმდებლო რეგულაცია.

⁸⁰ .ლეილა კობრიძე, *სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები (მართლმსაჯულება და კანონი N3(42)14*)

⁸¹ ი. ლლონტი, *მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი პრინციპები საქართველოს შორეულ წარსულსა და დღევანდელობაში, 2010.*

⁸² თ. ტაბატაძე, *ჩანასახის სამართლებრივი დაცვის რეგულაციები , უუნალი აკადემიური მაცნე, 2018*

ჩვენ უკვე განვიხილეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი რამდენიმე მიმართულებით და მასში გარკვეული ხარვეზები აღმოვაჩინეთ, თუმცა მუხლის რედაქცია ბოლომდე სრულყოფილად ვერ ჩამოვაყალიბეთ. ამიტომ ვფიქრობ, აღნიშნული მუხლის ქვეშ უნდა განვიხილოთ უმკვიდრო ქონების ბედი კანონით მემკვიდრეობასთან მიმართებით. კანონითა და ანდერძით მემკვიდრეობის გარდა კანონი ითვალისწინებს მისგან ფორმითა და შინაარსით განსხვავებულ კიდევ ერთ სახეს, როგორცაა უმკვიდრო ქონების მემკვიდრეობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, 1343-ე მუხლის მიხედვით, თუ არც კანონითა და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, მაშინ ქონება უმკვიდროდ ითვლება. უმკვიდრო ქონება კი გადადის სახელმწიფო სარგებლობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად აყალიბებს კანონით მემკვიდრეთა წრეს, ნორმით დადგენილ შემთხვევაში, კანონით მემკვიდრეთა ამომწურავი ჩამონათვალი გარკვეულწილად არ ითვალისწინებს გარემე პირებს და უზღუდავს მათ კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მემკვიდრეთა წრის მსგავსი კონკრეტული და ამომწურავი ჩამონათვალი შესაძლოა გახდეს ქონების უმკვიდროდ ცნობის საფუძველი. საინტერესოა ის გარემოება, რომ ნორმა არ ითვალისწინებს შთამომავლობას, ამავე დროს მასში არ არის გათვალისწინებული გერის მემკვიდრეობის მიღების უფლებაც, რაც ამარტივებს და ხელს უწყობს ქონების უმკვიდროდ ცნობას. ეს პრინციპი კი შესაძლოა ემყარებოდეს მკაცრად სისხლით ნათესაობის ისტორიულ პრინციპს. აღნიშნულმა ისტორიულმა პრინციპმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარების კვალდაკვალ, რისი პირდაპირი შედეგაც მემკვიდრეთა წრის გაზრდაა მჭიდრო ემოციური (თუმცა არა სისხლისმიერი) კავშირების სასარგებლოდ.⁸³ შესაბამისად ეს უკანასკნელი გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში. აღნიშნული ნორმა თავისი აღმჭურველი ხასიათის მიუხედავად, ცალსახად ზღუდავს ნორმის გარეთ დარჩენილ პირთა უფლებებს. ვფიქრობ დასმული საკითხი მეტად პრობლემურია, ვინაიდან სახელმწიფო იღებს უმკვიდრო ქონებას თავისი სუვერენიტეტის ძალით; სამკვიდრო ქონების მფლობელობაში გადაცემის მოთხოვნა, რაზეც იგი ვალდებულია განაცხადოს, არის მისთვის მფლობელობის ფაქტობრივი შესაძლებლობის და არა მემკვიდრის სტატუსის მინიჭების შედეგი.⁸⁴ მაშასადამე, გვევლინება რა, არა კანონისმიერი მემკვიდრის, არამედ საჯარო სამართლის სუბიექტის სახით, სახელმწიფო წარმოადგენს არა მემკვიდრეობითი

⁸³ გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 14.06.2019 წელი

⁸⁴ Cazelles P. *De l' idée de la continuation de la personne comme principe des transmissions universelles*. Paris: Librairie nouvelle de droit et jurisprudence, 1905. P. 269; Maury J. *Successions et libéralités*. 6e éd. Paris: Litec, 2007. P. 71-72; Jubault Ch. *Les successions. Les libéralités*. Montchrestien, EJA, 2005. P. 280; Seriaux A. *Manuel de droit des successions et des libéralités*. Paris: PUF, 2003. P. 131

სამართალურთიერთობის, არამედ იმ საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, რომელიც მონოდებულია, დაარეგულიროს უმკვიდროდ დარჩენილი ქონების გაურკვეველი სამართლებრივი მდგომარეობა.⁸⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის მოქმედი რედაქცია განსაზღვრავს კანონით მემკვიდრეთა ამომწურავ ჩამონათვალს და მასში არ ითვალისწინებს სხვა გარეშე პირთა დაშვებას, მიუხედავად კონკრეტული პირის სამკურნალო, აღმზრდელობითი ან სოციალური დაცვის ფუნქციების შეთავსებისა. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ მემკვიდრეობისთვის მნიშვნელობა არ ენიჭება იმ გარემოებას, რომ მამკვიდრებელსა და სხვა გარეშე პირს შორის შესაძლოა არსებობდეს ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე დაფუძნებული მრავალწლიანი ემოციური და მჭიდრო კავშირი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ უპირატესად წინ წამოწეული უნდა იყოს კერძო ინტერესები, რომელიც დაფუძნებულია ხანგრძლივ ოჯახურ ურთიერთობაზე და პრაქტიკულად აღემატება საჯარო ინტერესს, საკუთრებაში მოაქციოს უმკვიდროდ დარჩენილი ქონება. ყოველივე ეს კი ლახავს მემკვიდრეობის სუბიექტთა კანონიერ ინტერესებს. ერთის მხრივ ქონება სახელმწიფოს გადაეცემა მამკვიდრებლის ნების გარეშე, იმის გამო, რომ მამკვიდრებლის მხრიდან არანაირი ნება არ ყოფილა გამოვლენილი და მეორეს მხრივ, მამკვიდრებელთან დაახლოებული პირი კარგავს ყველანაირ ბერკეტს მიიღოს სამკვიდრო ქონება.

უპირატესი მემკვიდრეობის უფლების განხორციელებისას

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1480-ე მუხლის მიხედვით „ მემკვიდრეებს, რომლებსაც მამკვიდრებელთან ერთად აქვთ საერთო საკუთრების უფლება ქონებაზე, უპირატესი უფლება აქვთ იმ ქონების მემკვიდრეობაზე, რომელიც საერთო საკუთრებაში შედის,, სწორედ ამიტომ სამკვიდრო ქონების გაყოფის დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს უპირატესი მემკვიდრეობის უფლების მქონე სუბიექტები, რომლებსაც განსაზღვრული ქონების თავის წილში აუცილებელი ჩართვის შესაძლებლობა აქვთ. ამასთანავე, უპირატესი უფლების განხორციელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამკვიდროს გაყოფაში მონაწილე სხვა მემკვიდრეების ქონებრივი ინტერესები.

უპირატესი მემკვიდრეობის უფლება თავისი არსით მნიშვნელოვან როლს ასრულებს მემკვიდრისა და მამკვიდრებლის ურთიერთობაში. როგორც ვიცით არსებული

⁸⁵ კობრეიძე. ლ., ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2014.,20.

უფლებრივი უპირატესობით მემკვიდრეობის სუბიექტები კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში სარგებლობენ. მაგალითად, თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ 1 წლის განმავლობაში ცხოვრობდა მამკვიდრებელთან, აქვს სახლის, ბინის და სხვა საოჯახო მოხმარების საგნების მიღების უპირატესი უფლება. შუა საუკუნეებში ევროპის ძირითად ეკონომიკურ საყრდენს სოფლის მეურნეობა და აგრარული წარმოება წარმოადგენდა, რაც თავისთავად დაკავშირებული იყო მიწასთან. უპირატესი მემკვიდრეობის უფლების არსებობის ძირითადი მიზანი კი იყო სამკვიდრო ქონების ან მისი ნაწილის ხელუხლებელი შენარჩუნება.⁸⁶ რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად დაკავშირებული იყო სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე მიწის ნაკვეთებთან, ასეთ შემთხვევებში კი მნიშვნელოვანი ხდებოდა, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული მიწის დაყოფა-დანაწევრების პროცესი.⁸⁷

როგორც უკვე აღვნიშნეთ უპირატესი მემკვიდრეობის უფლების წარმოშობას თავისი წინაპირობები ჰქონდა და სწორედ ამ უკანასკნელმა განაპირობა მისი არსებობა. მიუხედავად ჩამოყალიბებული თვალსაზრისისა ქართულ კანონმდებლობაში არსებული ნორმა სრულად ვერ ჰპოვებს თავის შინაარსობრივ გამოხატულებას და მას გარკვეული ფაქტორები აფერხებს. ამ მხრივ კი მნიშვნელოვანია თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1480-ე მუხლის მიზნებსა და აღსრულების შესაძლებლობებს განვიხილავთ ამავე კოდექსის 1483-ე მუხლთან კავშირში. უპირატესი უფლების განხორციელებისას, თუ დანარჩენი ქონება სხვა მემკვიდრეების წილის მისაღებად საკმარისი არ იქნება, მემკვიდრეებმა, რომლებიც უპირატეს უფლებას ახორციელებენ, უნდა მისცენ მათ შესაბამისი ფულადი ან ქონებრივი კომპენსაცია. საკომპენსაციო თანხა შეიძლება იმდენად მნიშვნელოვანი იყოს, რომ მემკვიდრეს, რომელმაც ისარგებლა უპირატესი უფლებით, მისი ერთდროულად გადახდა არ შეეძლოს. ასეთ შემთხვევაში, მას შეიძლება მიეცეს სათანადო დრო, რასაც სასამართლო განსაზღვრავს, მაგრამ ეს დრო არ შეიძლება იყოს 10 წელზე მეტი.⁸⁸ წინამდებარე მუხლი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1480-ე მუხლთან კავშირში ერთგვარად სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებს და მისი დაცვის მექანიზმს წარმოადგენს. „სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების მეთოდი გულისხმობს, მხარეთა თანასწორობას არა მარტო ქონებრივ ურთიერთობებში, არამედ საოჯახო და პირად ურთიერთობებშიც. პირადი არაქონებრივი ურთიერთობები (პატივი, ღირსება).“⁸⁹ სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირებისათვის დამახასიათებელია ის, რომ სამოქალაქო უფლების დარღვევას მოჰყვება სათანადო სანქცია. ეს სანქცია ქონებრივი ხასიათისაა, რაც გულისხმობს, რომ

⁸⁶ Graziella Bertocchi, *The Law of Primogeniture and the Transition from Landed Aristocracy to Industrial Democracy*, 2006

⁸⁷ იქვე (Bertocchi, 2006)

⁸⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000

⁸⁹ გიორგი ვ. თუმანიშვილი, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში. თბილისი, 2012

დარღვეული უფლება უნდა იქნეს აღდგენილი ან კომპენსირებული. კომპენსაცია გამოხატულებას ჰპოვებს ფულად ანაზღაურებაში.⁹⁰ პრაქტიკაში სამართლებრივი დაცვის საშუალება, ჩვეულებრივ, ფულად კომპენსაციას გულისხმობს. სახელმწიფოების მიერ გადასახდელი საკომპენსაციო თანხის დადგენისას არსებობს გარკვეული ფარგლები, მაგრამ ეს უკანასკნელი არ ეხება იმ აშკარა ელემენტებს, რომლებიც ასანაზღაურებელ თანხაში უნდა აისახოს.⁹¹ მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი ნორმა კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფის გარანტიაა, ბოლომდე სრულყოფილად მაინც ვერ ჩავთვლით. როგორც ვიცით, კომპენსაცია გულისხმობს ზიანიდან გამომდინარე ფულად ანაზღაურებას და იგი გაიცემა მორალური ზიანის მიყენების, საკუთრების უფლების ჩამორთმევის და სხვა შემთხვევებში. კომპენსაციას ექვემდებარება ისეთი ქონებრივი დანაკლისი, რომლის მიზეზიც არის საკუთრების უფლების ან მფლობელობის შეზღუდვა, რაც განპირობებულია ობიექტური აუცილებლობით.⁹² ჩვენს შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს ზიანიდან გამომდინარე ფულადი ანაზღაურების გაცემის ვალდებულება, არამედ ეს არის კანონით გათვალისწინებული უფლების რეალიზაციის შედეგი. იურიდიული ლიტერატურა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1483-ე მუხლით გათვალისწინებული უპირატესი უფლების განმხორციელებელი მემკვიდრეების მოთხოვნით, სასამართლოს მიერ კომპენსაციის გადავადების ვადა დამოკიდებულია კომპენსაციის მოცულობაზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. საინტერესოა ის გარემოება, რომ წინამდებარე ნორმით გათვალისწინებული ვადა არის შეუსაბამოდ ხანგრძლივი და არსებული პერიოდის განმავლობაში ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება პასუხისმგებლობის ფარგლების გათვალისწინება, როგორც უპირატესი მემკვიდრეობის მქონე სუბიექტისათვის, ასევე სხვა მემკვიდრეებისათვის. არსებულმა სამართლებრივმა ურთიერთობამ არ უნდა გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარის მდგომარეობის უკიდურესად დამძიმება, მეორე მხარის უსაფუძვლო გამდიდრების ხარჯზე.

მემკვიდრეობის უფლება განიხილება, როგორც უმაღლესი რანგის სამართლებრივი სიკეთე. „მემკვიდრეობის უფლების გარანტია ავსებს საკუთრების გარანტიას როგორც ასეთს და ამ უკანასკნელთან ერთად ქმნის კონსტიტუციით გათვალისწინებული კერძო საკუთრებითი წესრიგის საფუძველს. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ერთად ქმნიან იმ საზოგადოებრივი წყობილების არსებით, ძირითად ელემენტებს, რომლებიც ადამიანის კერძო ავტონომიის პრინციპს ემყარება.“⁹³ მემკვიდრეობის უფლება

⁹⁰ გიორგი ვ. თუმანიშვილი, *შესავალი საქართველოს კერძო სამართალში*. თბილისი, 2012

⁹¹ იხ. „*ვასინკი ნიდერლანდების წინააღმდეგ*“ (*Wassink v. the Netherlands*).

⁹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე №13-803-762- 2013

⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე

დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონციუსტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.74;

აღიარებული და ხელშეუვალია, რაც იმას გულისხმობს, რომ დაუშვებელია საკუთრების შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების უფლების გაუქმება, გარდა კანონით პირადაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებისა. საკუთრების შეძენის უფლება გულისხმობს პიროვნების შესაძლებლობას, გახდეს მესაკუთრე. ადამიანის მისწრაფება საკუთრების მოპოვებისკენ, მისთვის დამახასიათებელ ნორმალურ სოციალურ ქცევას წარმოადგენს.⁹⁴ მისი ეს სწრაფვა პიროვნული თავისუფლების ერთგვარი გამოვლინებაა. საკუთრების შეძენის კონსტიტუციური უფლება ადგენს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს ადამიანს, შექნას მისი საკუთრება და ამის საფუძველზე უზრუნველყოს საკუთარი კეთილდღეობა.⁹⁵ ვფიქრობ, ჩვენ მიერ სადაოდ ქცეული ნორმით ხდება მეორე სხვა მემკვიდრეების მემკვიდრეობის უფლების განხორციელების პროცესში გაუმართლებელი ჩარევა, რადგან მემკვიდრე სუბიექტს არ აქვს არავითარი სამართლებრივი მექანიზმი, რითიც დაიცავს თავის უფლებას მისი ნების სანაღმდეგოდ განკარგვის შემთხვევაში. უპირატესი მემკვიდრისგან განსხვავებით ამ უკანასკნელმა „გონივრული ვადით“, ამ შემთხვევაში თუნდაც 1 წლის განმავლობაში, უნდა დაელოდოს როდის შეასრულებს უპირატესი მემკვიდრეობის უფლების მქონე სუბიექტი თავის ვალდებულებას. ცალმხრივი პრივილეგირება კი ნამდვილად არ შეესაბამება მემკვიდრეობის უფლების იმ კონსტიტუციურ-სამართლებრივ გაგებას, რომელიც მისი სოციალური ფუნქციით დატვირთვას ითვალისწინებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1483-ე მუხლში მითითებული ვადა არ არის განპირობებული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით, სადავო ნორმით მემკვიდრეს არ აქვს თავისი საკუთრების დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა, სადავო ნორმით განპირობებული სამართლებრივი შედეგები არაპროგნოზირებადია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1483-ე მუხლით განსაზღვრული ვადა არამართლზომიერია და მემკვიდრეს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს უპირატესი უფლების მქონე მემკვიდრესთან, მაშინ როცა ზოგადად მემკვიდრეობის უფლება ორივესთვის ხელშეუვალი და გარანტირებული უფლებაა.

ქორწინების ბათილობის დაუშვებლობა ორივე მეუღლის გარდაცვალებისას

სსკ-ის 1106-ე მუხლის თანახმად: „ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით, ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ

⁹⁴ შპს „თორაძე და პარტნიორები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2018 წელი 23 მარტი.

⁹⁵ იქვე

სამსახურში (შემდეგში – სააგენტოს ტერიტორიული სამსახური), მართალია, ეს მუხლი პირდაპირ არ უთითებს „ოჯახურ ცხოვრებაზე“, ის შეიძლება გამომდინარეობდეს ქორწინების მიზნიდან („ოჯახის შექმნა“), რომ ქალმა და მამაკაცმა შეიძლება შექმნან ოჯახი, თუ ქორწინება რეგისტრირებულია მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში. ასეთი განმარტება დასტურდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლით (ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა), რომელიც ადგენს, რომ: „მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული დაქორწინება“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ოჯახის შექმნას იურიდიული მნიშვნელობით, თუ ქორწინება არ არის რეგისტრირებული რეგისტრაციის ორგანოში.⁹⁶ ქორწინების მნიშვნელოვან მახასიათებელს ნიშნავს წარმოადგენს თავისუფლების პრინციპის დაცვა, ვინაიდან ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, ეს იმას ნიშნავს, რომ ქორწინების შესახებ შეთანხმება, აგრეთვე მისი შეწყვეტა მექორწინეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული.⁹⁷ ქორწინება, რომელიც ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების საფუძველზე ჩატარდა აუცილებლად ბათილად უნდა იქნას ცნობილი⁹⁸ ქორწინებას ხშირად თან ახლავს განქორწინება ან თუნდაც ამ უკანასკნელის ბათილად ცნობა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი აწესრიგებს არამართო ქორწინების წესსა და პირობებს, არამედ კონკრეტულად მიუთითებს იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ქორწინების გაბათილება. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქორწინების ბათილობა წარმოადგენს იმ იურიდიული შედეგების გაუქმებას, რომელსაც კანონი ნამდვილ ქორწინებასთან აკავშირებს. იგი დგება მაშინ, როცა დარღვეულია ქორწინების აუცილებელი პირობები, ან იგი მომხდარია იმ დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობისას, რომლის დროსაც ქორწინება აკრძალულია ან კიდევ, ყველა ფორმალური ნიშნის დაცვით, მაგრამ იმ განზრახვის გარეშე, რომ ნამდვილად შეიქმნას ოჯახი. ქორწინების ბათილად ცნობა ნიშნავს იმას, რომ არ წარმოიშვა ის იურიდიული შედეგები, რაც ნამდვილ ქორწინებას მოსდევს. ქორწინების ბათილად ცნობა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია. ამასთან, პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან ქორწინების ბათილობა და განქორწინება.⁹⁹ ქორწინების გაბათილება შეიძლება მიჩნეული იქნას იმ პირთა მიმართ გამოყენებულ სანქციად, რომლებიც კანონის

⁹⁶ 78-ე მუხლის მე-3 პუნქტი. იხ. მოქალაქეობრივი აქტების რეგისტრაციის კომისიის წესდება, 2000 წლის 26 ივნისი, 128, იუსტიციის სამინისტრო. (მოქალაქეობრივი აქტების რეგისტრაციის კომისიის წესდება, 2000 წლის 26 ივნისი)

⁹⁷ შ.ჩიკვაშვილი. საოჯახო სამართალი. თბილისი, 2004, მერიდიანი

⁹⁸ იქვე (შ.ჩიკვაშვილი., 2004)

⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, საოჯახო სამართალი 2016.

მოთხოვნათა დარღვევით გატარდნენ ქორწინების რეგისტრაციაში.¹⁰⁰ როგორც ვიცით, ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველია ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ განქორწინება და ქორწინების ბათილად ცნობა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან, ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას დავეთვობ ქორწინების ბათილად ცნობის ინსტიტუტს და განვიხილავ მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1149-ე მუხლის საფუძველზე, მემკვიდრეობით სამართლებრივი ურთიერთობის ჭრილში. აღნიშნული მუხლის მიხედვით, „ არ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ქორწინების გაბათილება ორივე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ,“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველებს და იმ სუბიექტებს, რომელთაც აქვთ ასეთი ბათილობის მოთხოვნის უფლება. როგორც ვიცით, ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვთ მეუღლეებს და იმ პირებს, რომელთა უფლებებიც დარღვეულია ამ ქორწინებით. თუმცა მიუხედავად განვითარებული თვალსაზრისისა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კონკრეტულ შემთხვევებში კრძალავს ქორწინების ბათილად ცნობას. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1149-ე მუხლი ამბობს, რომ „დაუშვებელია ქორწინების გაბათილების მოთხოვნა ორივე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ,“ ქორწინების ბათილად ცნობა უკუქცევითი ხასიათით ხასიათდება, აქედან გამომდინარე ეს უკანასკნელი ქორწინების რეგისტრაციიდანვე არ წარმოშობს მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობებს. ასეთი ქორწინება ითვლება არ არსებულ ქორწინებად. სწორედ ჩამოყალიბებულ აზრს უკავშირდება ქორწინების ბათილობის დაუშვებლობა, ვინაიდან მეუღლეთა გარდაცვალების შემდეგ ქორწინება ფაქტობრივად აღარ არსებობს, არ არსებობენ საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები. თუმცა, არსებული მიდგომა ცალსახად სამართლიანი არ არის. ჩვენ წინამდებარე ნაშრომში არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ის სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც წარმოიშობა ადამიანის სიცოცხლეში, მისი გარდაცვალების შემდეგ არ ქრება და გარკვეულ სამართლებრივ შედეგებსაც წარმოშობს.¹⁰¹ პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომელიც მას აკავშირებდა სხვა პირებთან და თვით ქონებასთან, მაგრამ იურიდიულად ქონებრივი უფლებები არ წყდება.¹⁰² ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1149-ე მუხლი მეტად ვიწრო შინაარსის მატარებელია და არ ითვალისწინებს მემკვიდრეობით ურთიერთობასთან დაკავშირებულ

¹⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, საოჯახო სამართალი 2016.

¹⁰¹ შ. ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2000

¹⁰² შენგელია, რომან, ეკატერინე შენგელია. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი: მერიდიანი, 2017.

საკითხებს. ხარვეზები აღინიშნება სასამართლო პრაქტიკაშიც, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს პირის მემკვიდრეობის მიღების უფლებასთან და მოითხოვს შესაბამის რეგულაციას. როგორც უკვე აღვნიშნეთ ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში აქვს ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, ორივეს გარდაცვალების შემთხვევაში კი ასეთი უფლება რეალურად აღარ არსებობს. განხილვის ძირითადი მიზანი კი სწორედ იმ საკითხების წინ წამოწევაა, რომელიც არსებითად წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმასთან. მნიშვნელოვანია რომ ქორწინების ბათილად ცნობის დაუმებლობა განვიხილოთ მემკვიდრეობით-სამართლებრივი ურთიერთობის ჭრილში.

ქორწინების ბათილობასთან დაკავშირებულ დავებში მონაწილე სუბიექტები მეტად მზღლედული რაოდენობით გვევლინება, განსხვავებით სამემკვიდრეო დავებისგან. სამემკვიდრეო დავაში მონაწილე პირთა ჩამონათვალი დამოკიდებულია მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტთა წრეზე. სახელდობრ, ასეთ სუბიექტებად ხშირად გვევლინებიან: 1) კანონით მემკვიდრეები; 2) ანდერძით მემკვიდრეები; 3) მემკვიდრეები წარმომადგენლობის უფლებით; 4) მემკვიდრეები მემკვიდრეობითი ტრანსმისიით; 5) სავალდებულო წილის უფლების მქონე მემკვიდრეები; 6) არაპრომისუნარიანი პირები, რომლებიც მამკვიდრებლის რჩენაზე იმყოფებოდნენ; 7) ანდერძის აღმსრულებელი; 8) საანდერძო დანაკისრის მიმღები მემკვიდრე (ლეგატარი); 9) პირი, რომლის სასარგებლოდაც არის განხორციელებული საანდერძო დანაკისრი (ლეგატი); 10) მამკვიდრებლის კრედიტორები; 11) სახელმწიფო.¹⁰³ არსებული ჩამონათვალი არ ეწინააღმდეგება იმ გარემოებას, რომ შესაძლოა მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტებს ჰქონდეთ ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება, მათი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ორივე მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში სრულიად ლოგიკურია, რომ ერთ-ერთი მეუღლის კანონისმიერმა მემკვიდრემ მოითხოვოს ქორწინების ბათილად ცნობა და ასეთი ცნობის საფუძველზე მამკვიდრებლის ქონებრივი აქტივებისა თუ პასივების მიღება. მითუმეტეს თუ მეორე მეუღლეს არ ჰყავს არც კანონისმიერი და არც ანდერძისმიერი მემკვიდრე, არსებობს თანასაკუთრებაში არსებული ქონების უმკვიდროდ ცნობის შესაძლებლობა. არსებული გარემოების და პრობლემის მკაფიოდ წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია თუ განვმარტავთ რა იურიდიული ფაქტები განაპირობებენ ქონების უმკვიდროდ ცნობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი განმარტავს, თუ რა სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას მიიჩნევა ქონება უმკვიდროდ. ამას განსაზღვრავს ის იურიდიული მნიშვნელობის შემადგენლობა, რომელიც მოცემულია

¹⁰³ *ლეილა კობრიძე, სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2014, 3(42)14*

წინამდებარე მუხლში, კერძოდ: 1. როდესაც არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან; 2. არც ერთმა მემკვიდრემ სამკვიდრო არ მიიღო; 3. ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, ანუ ეს იურიდიული მნიშვნელობის შემადგენლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ქონება ცნობილ იქნას უმკვიდროდ, ხოლო ამის შემდეგ კი, ეს უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე.¹⁰⁴ გამომდინარე აქედან, სამემკვიდრეო დავაში მხარეს შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფოც, იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდრო ქონება არც ერთ მემკვიდრეს არ მიუღია. მაგალითად, ასეთი კატეგორიის საქმეს წარმოადგენს სარჩელი სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდრო ქონება არც ერთ მემკვიდრეს არ მიუღია, ვინაიდან თუ სამკვიდრო ერთ-ერთმა მემკვიდრემ მაინც მიიღო, აღნიშნული გამორიცხავს ასეთი კატეგორიის საქმეში სახელმწიფოს მონაწილეობას მოპასუხის სტატუსით), ასევე, სარჩელი უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლის შესახებ.¹⁰⁵ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ერთმანეთს დავუპირისპირეთ საჯარო და კერძო ინტერესები და გამოვყავით მასში სახელმწიფოს, როგორც მემკვიდრეობითი სამართლის სუბიექტის როლი. თუმცა, სახელმწიფო გვევლინება არა კანონისმიერი მემკვიდრის, არამედ საჯარო სამართლის სუბიექტის სახით,, სახელმწიფო წარმოადგენს არა მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის, არამედ იმ საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, რომელიც მონაწილეობს, დაარეგულიროს უმკვიდროდ დარჩენილი ქონების გაურკვეველი¹⁰⁶ სამართლებრივი მდგომარეობა. ერთის მხრივ ქორწინების ბათილობის დაუშვებლობა დაუკავშირეთ ქონების უმკვიდროდ ცნობის ფაქტსა და მემკვიდრის კანონიერი ინტერესების შეზღუდვას, მიიღოს მემკვიდრეობის მიერ დატოვებული სამკვიდრო სრულად. მოთხოვნა არ გამომდინარეობს მხოლოდ მატერიალური ინტერესებიდან. შესაძლოა მემკვიდრემ მნიშვნელოვანი ხარჯების განწევით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სამკვიდროში შემავალი ქონების შენარჩუნებასა და მისი ღირებულების გაზრდაში. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, მესამე პირებს რომელთა კანონიერ ინტერესებსაც ზღუდავს გარდაცვლილი პირების ქორწინება უფლება აქვთ მოითხოვონ ამ პირების ქორწინების ბათილად ცნობა. უფლების დაცვის ეფექტიანი სამართლებრივი საშუალების მოთხოვნა კი არ უნდა არღვევდეს სხვა პირთა უფლებებს და თანმხვედრი უნდა იყოს მათ კანონიერ ინტერესებთან. იმისათვის, რომ პირმა ისარგებლოს მის ინტერესებთან დაკავშირებული ქორწინების ბათილად ცნობის

¹⁰⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წლის 25 ივლისი, გვ. 12-13.

¹⁰⁵ კობრეიძე. ლ., ზოგიერთი სამოქალაქოსამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2014

¹⁰⁶ კობრეიძე. ლ., ზოგიერთი სამოქალაქოსამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2014

მოთხოვნით, მას უნდა ჰქონდეს საკმარისი ცოდნა და შესაძლებლობა ერთმანეთისგან გამიჯნოს საკუთარი და სხვისი უფლებები და ინტერესები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1149-ე მუხლი ცალსახად ზღუდავს კანონიერი მემკვიდრის ინტერესებს და არ ითვალისწინებს მასში გამონაკლის შემთხვევებს, მაშინ როცა არსებობს რეალური საფრთხე იმისა რომ მეორე მეუღლის ქონება იქცეს უმკვიდრო ქონებად ან მემკვიდრემ ვერ მიიღოს სამკვიდრო თავისი წვლილის, განუვლი ხარჯებისა და დახარჯული შრომის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მემკვიდრის კანონიერ ინტერესებს და ნებას, სურს თუ არა ქორწინების ბათილობის საფუძველზე სამკვიდროს მიღება.

მემკვიდრეობით-სამართლებრივი ურთიერთობების შედარებით სამართლებრივი ანალიზი

მემკვიდრეობით სამართლებრივი ურთიერთობები სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება. ძირითადად ეს განპირობებულია კონკრეტული საფუძვლებით, რომელიც თან ახლავს სამართლის წარმოშობას, ნორმის განმარტებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ასპექტებით ერთმანეთისგან განსხვავდება რომანულ-გერმანული და ანგლოსაქსონური მემკვიდრეობითი სამართალი. ო.ე.ბლინკოვი აღნიშნავს, რომანულ-გერმანულ და ანგლოსაქსონურ მემკვიდრეობით-სამართლებრივ სისტემებს შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კონტინენტურ სამართლებრივ სისტემაში მემკვიდრეობა უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას წარმოადგენს, როდესაც მამკვიდრებლის უფლებები და მოვალეობები გადადის უშუალოდ მემკვიდრეებზე, მაშინ, როდესაც ანგლოსაქსონური სამართლის სისტემაში მამკვიდრებლის ქონება ჯერ გადაეცემა მინდობილი საკუთრების სახით, განსაკუთრებულ პირს (ე.წ. მამკვიდრებლის პირად წარმომადგენელს), რომელიც ახორციელებს მემკვიდრეობის ლიკვიდაციის პროცედურას, რის შედეგადაც მემკვიდრეებს გადაეცემათ სამკვიდრო ქონების ის ნაწილი, რომელიც რჩება მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ.¹⁰⁷ პრინციპულად განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებს შორის მსგავსება მდგომარეობს მხოლოდ ცალკეულ მემკვიდრეობით სამართლებრივ მექანიზმებში.¹⁰⁸

¹⁰⁷ Блинков О.Е., Раздел наследства в государствах-участниках Содружества Независимых Государств и стран Балтии, журнал „Актуальные вопросы адвокатской практики“, М., 2009, №4, Стр. 13.

¹⁰⁸ Блинков О.Е., Раздел наследства в государствах-участниках Содружества Независимых Государств и стран Балтии, журнал „Актуальные вопросы адвокатской практики“, М., 2009, №4, Стр. 13.

როგორც ვიცით, საქართველო მიეკუთვნება, გერმანულ სამართლებრივ ოჯახს. კოდიფიკაციების ჩამოყალიბებისას გერმანული სამართალმა გავლენა მოახდინა ქართულ კანონმდებლობაზე, რამაც შემდგომ გამოიწვია სამოქალაქო კოდექსის კოდიფიკაციის ნაწილობრივი თანხვედრა გერმანულთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსს (სსკ), როგორც კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითად კოდიფიკაციას, აქვს გამორჩეული მნიშვნელობა საქართველოში სამართლებრივი პრაქტიკის თვალსაზრისით. ამასთან, სსკ და BGB (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი) საკმაოდ მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.¹⁰⁹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე გამართულ, სტრუქტურირებულ კანონად, რომელიც პასუხობს თანამედროვე სამართლებრივ გამოწვევებს. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოში 1992 წელს შექმნილმა სამოქალაქო კოდექსზე მომუშავე კომისიამ ქართული კოდექსის წყაროდ აიღო გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. ქართულ სამოქალაქო კოდექსში მრავლად შეხვდებით რეცეფუციურებულ გერმანულ ნორმებს.

წინამდებარე განმარტება ზოგადი ხასიათისაა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია გერმანული და ქართული სამემკვიდრეო სამართლის შედარებითი ანალიზი და მის საფუძველზე გარკვეული დასკვნების გაკეთება. წინა თავებში ჩვენ ვისაუბრეთ, როგორც კანონისმიერ, ასევე ანდერძისმიერ მემკვიდრეობაზე და მასში გარკვეული ხარვეზები აღმოვაჩინეთ. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კანონით მემკვიდრეობის განხილვა და შედარება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან დამოკიდებულებაში. მაგალითად, კანონით მემკვიდრეთა წრე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ამომწურავად არის ჩამოყალიბებული, განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსისგან. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1924-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის შთამომავლები,„ აღნიშნული ნორმის ანალიზი გვიჩვენებს რომ გერმანიის კანონმდებლობით კანონით მემკვიდრეთა წრე საერთოდ არ არის შეზღუდული, სახელდობრ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1929-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეხუთე და შემდგომი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის შორეული წინაპრები და მათი შთამომავლები.¹¹⁰ ტერმინი „შთამომავლები,“ კი გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტულ პირებს , არამედ ზოგადად მამკვიდრებლის შვილებს, შვილიშვილებს და მომდევნო თაობებს. შესაბამისად გერმანული სამართლის მიხედვით კანონით მემკვიდრეთა წრე მკაცრად განსაზღვრული არ არის და ნორმის განმარტება ფაქტობრივად გამორიცხავს ქონების უმკვიდროდ

¹⁰⁹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014

¹¹⁰ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), თბილისი, 2010, მუხლი 1929

ცნობის ფაქტს და სამკვიდროში არსებული ქონება გადაეცემა არა სახელმწიფოს, არამედ მამკვიდრებლის რომელიმე შთამომავალს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი პირდაპირ, ამომწურავად განსაზღვრავს კანონიერ მემკვიდრეთა წრეს, რაც შეუძლებელს ხდის კონკრეტულ შემთხვევებში ქონების უმკვიდროდ ცნობის ფაქტის თავიდან აცილებას. ვინაიდან ჩვენ განვიხილეთ უკვე მემკვიდრეობის ძირითადი განსხვავებები გერმანული სამართლის მიხედვით, გავაგრძელებთ საკითხის გავრცობას სამართლის იმავე ინსტიტუტზე საბერძნეთის სამართლის მიხედვით. საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის სტრუქტურა გერმანული კოდექსის ანალოგიურია. ზოგად ნაწილს მოსდევს ნაკვეთები ვალდებულებითი, სანივთო , საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის შესახებ. შინაარსობრივადაც ბევრი საერთოა ¹¹¹ გერმანულ კოდექსთან.

საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1710-ე მუხლის მუხლის მიხედვით, სამკვიდრო ქონების დაუფლება ხორციელდება პირის გარდაცვალების მომენტში. გარდაცვალების დროს, „de cuius“ მემკვიდრეობა პირდაპირი წესით გადადის “ab intestat” (ანდერძის გარეშე მემკვიდრეობა) მემკვიდრეებზე ან ანდერძით მემკვიდრეებზე. ¹¹² ამავე კოდექსის 1711-ე მუხლი განმარტავს რომ, დასახელებულ მემკვიდრედ შესაძლოა იგულისხმებოდეს მხოლოდ ის პირი, რომელიც ცოცხალია ან იგულისხმება ჩასახულად სამკვიდროს გახსნის მომენტში. ხოლო ბავშვი რომელიც არ დაიბადება ითვლება არ არსებულ ბავშვად. ¹¹³

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობა უმნიშვნელოვანესი ელემენტია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისათვის.¹¹⁴ სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობის უზრუნველყოფა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას განზოგადებული პრაქტიკის არსებობისათვის.¹¹⁵ ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ მემკვიდრეობითი სამართლის ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხები, ხაზი გაუვსვით არსებული ნორმების პრობლემურ ნაწილებს და ჩამოვაყალიბეთ გარკვეული რეკომენდაციები, თუმცა ყოველივე ეს განვიხილეთ თეორიულ ჭრილში. საკითხის სრულყოფილად შესწავლისთვის კი აუცილებელია არსებული თეორიული საკითხები შევუსაბამოთ პრაქტიკას. ამ მიმართულებით კი მზად

¹¹¹ ჰინ კოტცი; კონრად ცვაიგერტი; შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში: ტომი 1.

¹¹² იხ. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, 1- 4.

¹¹³ იქვე

¹¹⁴ ალეკო ნაჭყებია სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013)

¹¹⁵ იქვე

ვარ განვიხილო საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე ნორმა თეორიულ-პრაქტიკული მიმართულებით.

დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი ამომწურავად, მაგრამ განსხვავებულად ადგენს სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირთა წრეს და სამკვიდროდან იმ წილის ოდენობას, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოთ. სახელდობრ, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი).¹¹⁶ სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოების მიერ უსაფუძვლოდ არაერთგვაროვნად განიმარტება 1371-ე მუხლით დადგენილი სავალდებულო წილის მიღების

უფლების მქონე პირთა წრე, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილებების მიღება მოჰყვება. ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1306-ე, 1371-ე და 1374-ე მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ სავალდებულო წილის ინსტიტუტის შემოღებით კანონმდებელმა შეზღუდა რა, ანდერძის თავისუფლება, გაითვალისწინა პირველი რიგის კანონით მემკვიდრეთა ინტერესები და ანდერძის შინაარსის მიუხედავად, პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიაკუთვნა იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. პალატის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი განსაზღვრავს კანონით მემკვიდრეთა წრეს, რომელთა შორისაა იმ პირველი რიგის მემკვიდრეთა ჩამონათვალი, რომლებსაც უფლება აქვთ მიიღონ 1371-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო წილი.¹¹⁷ სასამართლო პრაქტიკით ირკვევა, რომ სავალდებულო წილის შემოღებით ცალსახად შეიზღუდა ანდერძის თავისუფლების პრინციპი, რაც რეალურად მამკვიდრებლის ნებას ეწინააღმდეგება.¹¹⁸

საქმის გარემოებანი

საქმის აღწერილობითი ნაწილიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ითხოვს ანდერძის ბათილად ცნობას, ანდერძისმიერი სამკვიდრო მონაწილის ნაწილობრივ ბათილად ცნობას, მშობლების დანაშთი სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობითა და მართვით მიღების ფაქტის დადგენას; მამის დანაშთი

¹¹⁶ შინ ბილინივი, უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 6, №4, თბილისი, 2003, გვ. 520

¹¹⁷ კობრეიძე, ლ., ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2014.

¹¹⁸ იქვე

სამკვიდროს ქონებიდან სავალდებულო წილის მისთვის და ან გარდაცვლილი დედისათვის მიკუთვნებას, დედის კუთვნილი სავალდებულო, ასევე მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გამომდინარე $\frac{1}{2}$ წილიდან ნახევრის მესაკუთრედ ცნობას.

უზენაესი სასამართლოს შეფასება

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა, და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმებას, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სავალდებულო წილის მიკუთვნებაზე. თვლის, რომ ამ ნაწილში გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მამის სამკვიდროდან სავალდებულო წილი უნდა განისაზღვროს სადავო ქონების $\frac{1}{12}$ -ით და კასატორს სულ უნდა მიეკუთვნოს მოპასუხის სახელზე რიცხული სახლთმფლობელობის $\frac{1}{3}$ ($\frac{1}{4} + \frac{1}{12}$), სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად კი, ამ ნაწილში უნდა იქნას ბათილად ცნობილი გ. დ-ას სახელზე გაცემული ანდერძისმიერი სამკვიდრო მონაწილეობა.¹¹⁹ უზენაესი სასამართლოს ხედვის გაანალიზებისას, უპირველეს ყოვლისა, მისასალმებელია ის გარემოება, რომ გადაწყვეტილება დაათუქნა ქართულ მემკვიდრეობით სამართალში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტზე, თუმცა მიუხედავად ამ წინგადადგმული ნაბიჯისა ვფიქრობ, მამკვიდრებლის უკანასკნელი ნება, რომელიც გამოხატულია ანდერძში სრულად უნდა აღსრულებულიყო. გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, რასაც კანონმდებლობის არასრულყოფილებაც განაპირობებს, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში პრიორიტეტი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და ინტერესების დაცვას ენიჭება.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ, განვიხილეთ სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ინსტიტუტი, კერძოდ სამკვიდროს მიღება და მასთან დაკავშირებული პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ ეს თემატიკა ჩვენი ქვეყნის რეალობისთვის ნოვატორული არ არის, მოიცავს ბევრ მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც უცნობია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისთვის. ნაშრომში წამოწეულია ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და მათი გადაჭრის

¹¹⁹ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-571-542-2014, ქ. თბილისი 10 სექტემბერი, 2015 წელი

ალტერნატიული გზები. ნაშრომის წინა თავებში ზოგადად განვიხილეთ მემკვიდრეობის არსი, ცნება, მნიშვნელობა და მისი ადგილი ქართულ კანონმდებლობაში. ძირითადი ნაწილი კი დავუთმეთ ამ უფლების და უფლების მქონე სუბიექტების კანონიერ ინტერესებს და ამ ინტერესების დაცვის მექანიზმებს. როგორც ნაშრომიდან ჩანს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნორმები, კერძოდ კი მემკვიდრეობითი სამართლის მარეგულირებელი ნორმები ერთმანეთის მიმართ წინააღმდეგობაში არიან. აქედან გამომდინარე ერთმანეთს შევადარეთ არსებული ნორმების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. კერძოდ კი განვიხილეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი, რომლის არსებობა სამოქალაქო კოდექსში ერთგვარ პროგრესულ ნიშნად მიიჩნევა. ჩამოვყალიბეთ და განვმარტეთ ის არასრულყოფილი ნორმები, რომლებიც რეალურად არღვევენ პირის ძირითად უფლებებს. იმედია, დამაკმაყოფილებლად წარმოჩნდა ის არასრულყოფილი ნორმები, რომლითაც წესრიგდება აღნიშნული საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bertocchi, G. (2006). The Law of Primogeniture and the Transition from Landed Aristocracy to Industrial Democracy.
- De, C. P. (2007). L'idée de la continuation de la personne comme principe des transmissions universelles. Paris: Librairie nouvelle de droit et jurisprudence, 1905. P. 269; Maury J. Successions et libéralités.
- Sousa, L. (2010). The family inheritance process: motivations and patterns of interaction.
- Szydlik, M. (2004). Inheritance and Inequality: Theoretical Reasoning and Empirical Evidence.
- Блинков О.Е., „ (2009). Раздел наследства в государствах-участниках Содружества Независимых Государств и стран Балтии. журнал „Актуальные вопросы адвокатской практики, .
- Киселева Н.А. (2007). Римское право.
- Н.Н., А. (2012). аследствие по завещанию, Гражданское право, Учебник,, .
- ლეილა კობრეიძე. (n.d.). სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები. (მართლმსაჯულება და კანონი N3(42)14”).
- აბდუშელიშვილი, გ. (2014). მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი.
- ბ., ზ. (2000). ძველი ქართული მემკვიდრეობით სამართალი, . თბილისი.
- ბაგრატიონი, ლ. (2015). უფლებამონაცვლეობის საკითხები მემკვიდრეობის სამართალში. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი , აკადემიური მაცნე სამართალი № 4, .

ბიოლინგი, ჰ. (2003). უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „*ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“*, ტომი 6, №4.

გადაწყვეტილება, ს. ს. (2012 წლის 26 ივნისი). დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონცვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.74;.

გველესიანი, ი. (n.d.). სამკვიდრო, როგორც მემკვიდრეობის სამართლის ობიექტი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და მონტანას კოდექსის მიხედვით) . *ინტელექტუალი“*, *საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი*.

გიორგი ხორგუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, . (2019, 06 14).

გოგოძე, დ. (2013). უარი სამკვიდროს მიღებაზე და მისი სამართლებრივი შედეგები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.

გრიგოლაია, თ. (n.d.). ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე).

დ., ჯ. (n.d.). *ქართული ჩვეულებითი სამართალი*. თბილისი.

ვასინკი ნიდერლანდების წინააღმდეგ. (n.d.).

ზ. ახვლედიანი. (2007). *მემკვიდრეობის სამართალი*. თბილისი: გამომცემლობა ბონაკაუზა. .

ზ., ა. (1998.). ანდერძით მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, . *ქართული სამართლის მიმოხილვა*, .

ზოიძე, ბ. (1991). ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი.

თ. ტაბატაძე. (2018). ჩანასახის სამართლებრივი დაცვის რეგულაციები . *ჟურნალი აკადემიური მაცნე*, .

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/3251-12 . (2013, იანვარი 28).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 3, 6-7, ,საქმე №2ბ/4097 12. (2013, თებერვალი 14).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე №2ბ/3489-11. (2011, იანვარი 30).

თუმანიშვილი, გ. (2012). *შესავალი საქართველოს კერძო სამართალში*. თბილისი.

- ი. ლლონტი. (2010). მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი პრინციპები საქართველოს შორეულ წარსულსა და დღევანდელობაში.
- კოდექსი, გ. ს. (თბილისი 2014). სასწავლო კომენტარი, მე-13 გამომუშავებული გამოცემა.
- კოდექსი, ს. ს. (1964 წელი (ცვლილებებითა და დამატებებით 1986 წლის 1 იანვრამდე)).
- კოტცი, შ., & ცვაიგერტი, ვ. (ტომი 1.). *შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში.*
- ლ., ვ. (2014). ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, . *ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი.*
- ლ., ჯ. (2011). *სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.* თბილისი.
- ლობუანიძე, დ. (2008). საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაცია.
- მოქალაქეობრივი აქტების რეგისტრაციის კომისიის წესდება. (2000 წლის 26 ივნისი).
- ნ. როსეთაშვილის, ნ. (n.d.). მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით.
- ნანდოშვილი, ე. (n.d.). ანდერძი და სამკვიდრო ქონება. *ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი #3(55)'17.*
- ნაჭყებია, ა. (2000-2013)). *სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში.*
- ნინუა, ე. (n.d.). ანდერძი, როგორც სამკვიდროს მიღების ერთ-ერთი საშუალება . *მართლმსაჯულება და კანონი, #1(40)'14, .*
- საკითხებზე, ს. უ. (2007 წლის 25 ივლისი). თბილისი.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.75. (2012 , ივნისი 26).
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.* (n.d.).
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი.* (2000). თბილისი.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე.* (2007).
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე №ას-803-762. (2013).

საყვარელიძე, ფ. (2004). *ადამიანის უფლებები და ქართული სამართლის ძეგლები*. თბილისი.

ქალთა უფლებები და სახელმწიფო დაცვის მექანიზმები. (2019).

ლლონტი, ი. (2010). მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი პრინციპები საქართველოს შორეულ წარსულსა და დღევანდელობაში . *აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები*.

შ. ჩიკვაშვილი. (2000). *მემკვიდრეობის სამართალი*. გამომცემლობა „მერიდიანი“.

შ.ჩიკვაშვილი. (2004). *საოჯახო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.

შენგელია რ., შ. ე. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი*. თბილისი.

შენგელია, რ. ე. (2017). *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.

შპს „თორაძე და პარტნიორები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. (2018 წელი 23 მარტი.).